ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 2 1 ივნისი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: † საქართველოს ექსარხოსის ყოვლად სამღვდელო ნიკონის მოკვლის შესახებ.—ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი, ონ-სა.—ვ-რსკვლავს, (ლექსი) ხაშმელის.—უმეცრების რახა-რუხი, ივ. გომართლისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—სახელმწიფო დუმა.—ეურნალ-გაზეთებიდან.—სამშობლო, (ლექსი) ს. ლანდის.—ფაბრიკა (მოთხრობა),პ—ე ხიდისთავე ლისა.—მუშათა შორის.—წერილი რედაქციისადმი.—განცხადება.

† საქართველოს ექსარხოსის ყოვლად სამღვდელო ნიკონის მოკვლის შესახებ.

გაზ. „Кавказъ"-ში დაბეჭდილია: „გუშინ, ოთხშაბათს, 28 მაისს, სინოდალურ კანტორის შენობაში მოხდა ალმაშფოთებელი დანაშაულობა. უცნობ ბოროტმოქმედთაგან მოკლულ იქნა მწყემს-მთავარი მაღალ-ყოვლად სამღვდელო არქიეპისკოპოზი ნიკონი, ექსარხოსი საქართველოსი. ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობებით, ეს ყოველ წრეს-გადაცილებული მხეცური მკვლელობა მოხდა შემდეგ გარემოებაში: ამ დღეს დანიშნული იყო სხდომა ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კანტორისა, რომელიც იმყოფება ექსარხოსის მოედანზე საექსარხოსო სახლის მეზობელ სახელმწიფო შენობაში. სასინოდო კანტორის შესავალი იმყოფება ძალიან ახლო ექსირხოსის სახლ-კარის ჭიშკართან მაღალ-ყოვლად სამღვდელო ნიკონი, ექსარ'ოსი საქართველოსი, დილის 10 ნახევარ საათზე გამოვიდა თავისი სადგომიდან და თავისი კელეინიკის თანხლებით, როგორც ყოველთვის, ფეხით გაემართა სასინოდო კანტორისაკენ. როცა მისი მეუფება ექსარხოსი შევიდა კანტორის შესავალში, ზედი-ზედ გაისმა რამოდენიმე რევოლვერის სროლის ხმა, ხოლო ამის შემდეგ გამოვარდა ორი „ტუზემცი" და მიეფარენ სომხის ბაზრისაკენ; სროლაზე და ყვირილზე გამოცვივდენ სასინოდო კანტორის მოსამსახურე პირნი, მოირბინეს მახლობელ სახლების მდგურებმა და გამვლელებმა. მისი მეუფება ექსარხოსი, „არქიეპისკოპოსი ნიკონი, სასიკვდილოთ დაჭრილი იდვა კიბეზე სამის საფეხურის ქვევით პირველ „პლოშჩადკიდან", საიდანაც მიდის კარიდორი სასინოდო კანტორის წევრთა სხდომების დარბაზში, იქვე გმინავდა კელეინიკი ფეხში დაჭრილი. მომხდარი ამბავი ეუწყა პოლიციას და სამოსამართლო მთავრობას, რომელნიც დაუყონებლივ მივიდენ იმ ადგილას, სადაც ამბავი მოხდა. მოკლულ მეუფის გვამი შეასვენეს ექსარხოსის სადგომში. გვამის გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ არქიეპისკოპოზ ნიკონისათვის ესროლათ ორ ბოროტ გამზრახველს ორი მხრიდან და მოერტყმიათ შეუფისათვის სამი ტყვია. განსვენებულის გვამში ნახეს ტყვიები მაუზერის და ბრაუნინგის სისტემის რევოლვერებიდან, სამი ტყვია მეორე მხარეზე გასულა, გაუკაწრავს გული, ფილტვები და სხვა შინაგანი ორგანოები, ერთი ტყვია მოხვედრია კისერში, დანარჩენები კი სხეულის სხვადასხვა ნაწილებში, სამოსამართლო-სამედიცინო გაშინჯვის შემდეგ მისი მეუფების ექსარხოსის სხეული ჩასვენებულ იქნა ცინკის კუბოში. ამავე დროს სასინოდო კანტორის შენობაში შეუდგენ საქმის გამოძიებას.

ნაშუალღეების 2 საათზე ექსარხოსის სადგომში შეიკრიბა სამღვდელოება ყოვლად-სამღვდელო გრიგორის, ბაქოს ეპისკოპოსის მეთაურობით და მოკლე პანაშვიდის გადახდის შემდეგ ცხედარი გავსვენებულის ნაშთებ თ შესვენებულ იქნა სამღვდელოების-მიერ ექსარხოსის

ჯვარის ეკლესიაში. განსვენებულ მეუფის გვამის შესვენებას, სამღვდელოების გარდა, დაესწრენ: მისი უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის მეუღლე სტატს-დამა გრაფინია ე. ა. ვორონცოვ დაშკოვისა, მისი უდიდებულესობის კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე, გენერალი ინფატერიისაგან ნ. ა. შატილოვი და სამხედრო თანაშემწე სენატორი ტ. ს. ი. ვ. მიცკევიჩი, ნამესტნიკის საბჭოს წევრნი და მისი უდიდებულესობის ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი გოფმეისტერი ნ. ნ. პეტერსონი, ამალა ნამესტნიკისა, გენერალიტეტი, თბილისის გუბერნატორი, სხვა და სხვა ნაწილთა და დაწესებულებათა უფროსები, თავად-აზნაურთა წინამძღოლები, ქალაქის თავი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა მოხელენი, სასინოდო კანტორის და საქართველოს ექსარხოსის კანცელარიის მოხელენი და მრავალი მლოცველნი. ამავე პირთა თანადასწრებით ნაშუადღევის ორნახევარ საათზე გადახდილ იქნა პირველი პანაშვიდი გარსვენებულ მეუფე-ექსარხოსის სულის მოსახსენებლათ.



ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი.

I. წინასწარი მოსაზრებანი.

2.

თუ ჩვენ მივიღებთ იმ შეხედულებას, რომ ეროვნული ინტერესები ეწინააღმდეგება მუშა ხალხის ინტერესებსო, მაშინ—როგორც აღვნიშნეთ წინა წერილში—ლოდიკურათ იძულებული ვიქნებოდით უარ გვეყო ნაციონალური (ეროვნული) ნიადაგი, ნაციონალური პოლიტიკა, უარ გვეყო ნაციონალური მისწრაფებანი, როგორც სოციალისტურ მიზნების საწინააღმდეგო რამ მოვლენა, ერთი სიტყვით, ჩვენ იძულებული გავხდებოდით უარ გვეყო ეროვნებაც და სამშობლოც და ერთისა და მეორესთვინაც სასტიკი ბრძოლა აგვეტეხნა. მაგრამ ნამდვილათ, ზემორე დებულება სრულიად ყალბია, მტკნარი შეცდომაა. ნამდვილი ერის საზოგადო, მუდმივი და საბოლოო ინტერესები ერთიანათ ჰფარავენ და ჰარმონიულათ ეთანხმებიან მუშათა კლასის ინტერესებს. ამიტომაც ყველა დაწინაურებულ ქვეყნების მუშათა პარტია აუცილებლათ სდგას ეროვნულ ნიადაგზე, სოციალისტური პოლიტიკა უეჭველათ ატარებს ნაციონალურ ხასიათს და მთელი მოქმედება გაცნობიერებულ მუშა ხალხისა მიმართულია სამშობლოს საკეთილ-დღეოთ.

აქ, შეიძლება, „განსწავლულმა“ მკითხველმა შეგვაჩეროს საკითხით: „თუ მაგრე არის, მაშინ რაღას ნიშნავს კარლ მარქსის ცნობილი სიტყვები „პროლეტარებს სამშობლო არა აქვთო!“ ეს სიტყვები ბურჟუაზიის იდეოლოგებს პირზე აკერიათ ყოველთვის, როცა კი უნდათ შეუგნებელ მუშების თვალში დაამცირონ მუშებისავე კლასიური პარტია (სოციალ-დემოკრატია) მაგრამ მიუდგომელი და საქმეში ჩახედული, მარქსის მოძღვრებასთან გაცნობილი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ აღნიშნულ სიტყვებში გამოთქმულია მხოლოთ პროლეტარიატის შხამ-ნაღველით გალესილი გრძნობა სამშობლოსადმი სიყვარულისა. ეს სიტყვები ხატავენ მხოლოთ პროლეტარიატის მწვავე უკმაყოფილებას იმ მდგომარეობით, რომელშიაც იგი იმყოფება თავისავე სამშობლოში; ეს უკანასკნელი „დედი-ნაცვლობას“ უწევს იმ ხალხს, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მთელ თავის ძალ-ღონეს სწირავს მას, სამშობლოს კეთილ-დღეობას. ეს აზრი, მარქსზე ბევრათ ადრე, გამოსთქვა ჯერ კიდევ ტიბერიუს გრაკხუსმა (მოკლულ იქმნა 133 წელს ქრისტეს წინათ). მონობის მძიმე უღელ-ქვეშ მგმინავ ხალხის წარმომადგენელი, ძველი რომაელი დრტვინავს, რომ ტყის ნადირებსაც მოეპოებათ თავისი ბუნაგი და იმ ადამიანებს კი, ვინც შეჰქმნეს იტალიის სამშობლოს სიდიადე, არა აქვთ ჰერი, სად შეაფარონ თავი თვისი; „როდესაც ომის დროს სპასალარნი მიმართავენ ამ ადამიანებს, მოწოდებით იბრძოლონ სახლის ღმერთებისა და წინაპართა საფლავებისთვის, ე. ი. სამშობლოსათვის,—ეს მხოლოთ დაცინვა არის, რადგან ამათ (ე. ი. მონების) შორის არა მგონია იპოვებოდეს თუნდ ერთი კაცი, რომელიც ფლობდეს ახლობელ ადამიანთა სასაფლაოებს და საკუთარ სახლის საკურთხეველს. იგინი აღიმაღლებენ მახვილს და იხოცებიან ბრძოლის ველზე მხოლოთ იმისთვის, რომ სხვებს მოუპოვონ სიმდიდრე, ფუფუნება და გარყვნილების სიამოვნებანი. მათ დაიპყრეს ქვეყანა, მათ უწოდებენ ქვეყნიერობის მფლობელთ და მათ ერთი მუჭა საკუთარი მიწაც კი აღარ გააჩნიათ“.*)

რასაც ტიბერიუს გრაკხუსი გამოსთქვამს თავის ამ შესანიშნავ მიმართვაში, ის მარქსმა და ენგელსმა გამოხატეს ორი სიტყვით: „მუშებს არა აქვთ სამშობლო“. როცა ეს სიტყვები იწერებოდა მუშა ხალხი გარიყული იყო სამშობლოს კეთილ- დღეობიდან არა მარტო ეკონომიურათ; არა მარტო ნივთიერი მდგომარეობა იყო აუტანელი—რასაც ამწვავებდა იმ დროინდელი ეკონომიური კრიზისები—არამედ ასეთივე უნუგეშო იყო მუშა ხალხის უფლებრივი მდგომარეობაც; მუშები მოკლებულნი იყვენ ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. ბურჟუაზია იმას ცდილობდა, რომ სახელმწიფო ორ ბანაკათ გაეყო; ერთი მდიდარნი და შეძლებულნი იქნებოდა ლეგალური ქვეყანა, სახელმწიფოს სრული ბატონ-პატრონი და მეორე (მუშა ხალხი) კანონს გარეშე დაყენებული, რომელიც ვერ გაეკარებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას და უნდა ყოფილიყო მხოლოთ მუშა საქონელი, სწორეთ იმგვარივე, როგორც ეს იყო ძველ რომში. მას შემდეგაც, მართალია, მუშათა ნივთიერი მდგომარეობა თვალ-საჩინოთ გაუმჯობესდა, მაგრამ უფსკრული კაპიტალისტებსა და პროლეტარიატს შორის არამც თუ არ შემცირებულა, კიდევ უფრო გაღრმავდა. მდგომარეობა გაუმჯობესებულია უფლებრივათაც. დღეს პროლეტარიატი საგრძნობელ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეზე, მაგრამ თვით დაწინაურებულ ქვეყნებში ჯერაც არ შეწყვეტილა ბრძოლა საყოველთაო

*) ამ ციტატს ვღებულობთ კაუცკიდან „La vie Soieliste, 1905 (იხ. ცნობილი ანკეტა).

თანასწორ საარჩევნო უფლებისათვის. საგულისხმოა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ—1895 წ. დეკემბრის შუა რიცხვებზე—თვითონ ბებელი რეიხსტაგში მიუბრუნდა მთავრობასა და კონსერვატორებს ასეთი სიტყვებით: „გაიგონეთ უკანასკნელი გაფრთხილება! აქამდის გერმანიის მუშა-ხალხი მუდამ იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ თუ თქვენ განაგრძეთ წინანდებურათ ეს ქვეყანა აქციოთ სამშობლოთ მონობისა, პრივილეგიებისა, სამშობლოთ მუშა-საქონელისა, მაშინ გერმანიის მუშა ხალხი შეეკითხება თავის თავს.—განა კიდევ ღირს ასეთი სამშობლოს დაცვა? (ცენტრში ჩოჩქოლი და განცვიფრება—მარცხნივ და უკიდურეს მემარცხნეებში ტაშის-ცემა)“. მაგრამ ამავე ბებელმა—გეხსომებათ—ორი წლის წინათ ამავე რეიხსტაგში შესძახა, რომ უკეთუ გერმანიას რაიმე განსაცდელი მოადგება, პროლეტარიატი, როგორც ერთი კაცი, აღდგება და თავისი მკერდით დაიცავს სამშობლოს დამოუკიდებლობას და ეროვნულ თავისუფლებასო. მოიგონეთ ისიც, რომ თვითონ კ. მარქსი თავგამოდებით იცავდა დაჩაგრულ ერთა ყველა იმ ნაციონალურ მისწრაფებათ, რაც კი ერის საერთო კეთილ-დღეობის მომასწავებელი იყო. აქედან ცხადია—რამდენათ მართალნი არიან მოწინააღმდეგენი ანუ თვით სოც.-დემოკრატების ის იშვიათი ეგზემპლიარები, რომელნიც ფიქრობენ, ვითომ მარქსი ნამდვილათ უარჰყოფდა სამშობლოს, ვითომ მარქსიზმი ითხოვდეს ანტინაციონალურ პოლიტიკას; ცხადია იგინი სიტყვებს იქით ვეღარ ხედავენ აზრს, წინადადებაში ვერ პოულობენ შინაარსს.

მარქსის მოხსენებული ფრაზა: „მუშებს არა აქვთ სამშობლოო“ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ღრმა შინაარსის იქნება თუ სახეში მივიღებთ, რომ იგი მიმართულია ბურჟუაზიისადმი, რომელიც დრტვინავდა სოციალისტები სამშობლოს ღუპავენ, როცა ესწრაფვიან განახორციელონ სოციალიზმი. მაგრამ რადგან ეს უკანასკნელი მოასწავებს მხოლოთ ბურჟუაზიულ, კაპიტალისტურ წეს-წყობილების დაღუპვას, ცხადია ამ შემთხვევაში „სამშობლოთ“ წოდებულია კაპიტალისტური საკუთრება. და ასეთ „სამშობლოს“ კი პროლეტარიატი, რასაკვირველია, უარჰყოფს, იმისი კლასიური მიზანია ასეთ „სამშობლოს“ განსაზოგადოებრიობა (სოციალიზიცია), ე. ი. დამყარება ისეთ წეს წყობილებისა, სადაც ერის მთელი როგორც ნივთიერი, ისე სულიერი სიმდიდრე გადიქცევა ერის შემადგენელ ყველა ადამიანების საერთო კუთვნილებათ და ყველასათვის თანასწორ კეთილდღეობის მიმნიჭებელათ. ამასთანავე, მხოლოთ ასეთ წეს-წყობილებაში აღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს ის, რასაც ჩვენ ვუწოდებთ ეროვნებას. დასახელებული წესწყობილებავე შეადგენს ყველა თანამედროვე ერის საზოგადოებრივ განვითარების უმაღლეს საფეხურს. მისი განხორციელებაც შეიძლება მხოლოთ ყველა ერების თანხმობით და სოლიდარობით.

ამ რიგათ, ნაციათა საერთო ინტერესები სრულიად ეთანხმება ერთმანეთს და იმავე დროს თვითოეულ ნაციის მუშა ხალხის კლასიური ინტერესებიც სავსებით ეთანხმება იმავე ნაციის ინტერესებს. ამიტომ შეგნებული მუშა ხალხის მოძრაობა ყოველთვის ემსახურება ერის ინტერესებს და იმავე დროს ხელმძღვანელობს საკუთარ კლასიურ ინტერესებით. აი ამ საფუძველზე შენდება მუშათა პარტიების ნაციონალური პოლიტიკა, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ ტერმინით ინტერნაციონალიზმი.

სულ სხვაა ნაციონალიზმი, რითაც აღვნიშნავთ ბურჟუაზიულ პარტიათა ნაციონალურ პოლიტიკას. მართალია, აქაც და იქაც პოზიცია კლასიურია, აქაც და იქაც პოლიტიკას ჰქმნის კლასის ინტერესები და მისი იდეოლოგია, მაგრამ განსხვავება ის არის, რომ აქ ბურჟუაზიის ბანაკში—კლასიური ინტერესები მხოლოთ ზოგჯერ, დრომდის და ისიც ცალმხრივათ ეთანხმება ერის განვითარების ინტერესებს. ამასთანავე, რაც შეეხება ერის საზოგადოებრივ და ნაციონალურ განვითარების უმაღლეს სტადიას, რასაც შეიცავს სოციალისტური წეს-წყობილება, აქ ბურჟუაზიისა და ერის ინტერესთა შუა მწვავე, შეურიგებელი წინააღმდეგობაა. ამიტომ ნაციონალისტების ბრძოლის მეთოდი, წეს-რიგი, მოქმედების ვითარება, ერთი სიტყვით მთელი ტაქტიკა ძირითადათ განსხვავდება, პირდაპირ ეწინააღმდეგება ინტერნაციონალისტების ტაქტიკას. აი სწორეთ ეს სდებს მათ შორის გარდაუვალ ხრამს; სწორეთ ეს განსხვავებული ტაქტიკაა ის ნიშნობლივი თვისება, რომელიც ახასიათებს ორივე პოლიტიკურ მიმდინარეობას—ნაციონალიზმსა და ინტერნაციონალიზმს,—სწორეთ ტაქტიკა და არა „ნაციონალური ავტონომია“ ანუ რაიმე სხვა ეროვნული მოთხოვნანი. ამ მოთხოვნების მხრივ, პირიქით, შეიძლება, რომ დაჩაგრულ ერის ნაციონალისტებსა და სოციალისტებ შორის სრული თანხმობაც კი ჩამოვარდეს; და თუ სრული თანხმობა არ არის, რაიმე მსგავსება მაინც უეჭველათ უნდა იყოს რაიმე კერძო მოთხოვნები მაინც უეჭველათ იქნება საერთო. ხოლო ტაქტიკა თვით დაჩაგრულ ერის ნაციონალისტებისა ძირითადათ განსხვავდება სოციალისტების ტაქტიკისაგან. ამისთვის ეს ორი ბანაკი არის და უნდა იყოს გათიშული პარტიულათ, ორგანიზაციულათ და მოქმედების მხრივ მათ შორის ერთათ ერთი მოციქული არის და უნდა იყოს კლასთა ბრძოლა, რაიც მუდამ სწარმოებს მეტნაკლების სიცხადით და სისასტიკით; თქმა არ უნდა, რომ სადაც ბურჟუაზიულ და სოციალისტურ პარტიებს რაიმე საერთო მოთხოვნები აქვთ წამოყენებული, იქ კლასთა ბრძოლა რამოდენადმე მაინც უეჭველათ ჰკარგავს სიცხადესაც, სისასტიკესაც და ნაყოფიერებასაც, იქ მუშათა საქმე უეჭველათ იცერება, იჯაბნება და ეს გარემოება ერთი ზედმეტი მიზეზია, რისთვისაც სოციალისტური პარტიები ესწრაფიან დღესვე გადიჭრას ნაციონალური საკითხი, რამდენადაც კი ეს შესაძლებელი იქნება. ხოლო იგივე გარემოება ზედმეტი საბუთია, რისთვისაც ბურჟუაზიული პარტიები,

ნაციონალისტები მსურველნი გახლავან — ნაციონალური საკითხი, რაც შეიძლება ხანგრძლივათ იქმნას მუშათა კისერზე დამოკლესის მახვილივით დაკიდებული.

ეხლა ჩვენ უკვე ვიცით საერთო მოხაზულობა ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმისა უფრო დაახლოვებით გასაცნობათ და სისწორით გასათვალისწინებლათ საჭიროა უმალ შევისწავლოთ ის სოციალური მოვლენა, რომელიც ორივე აღნიშნულ პოლიტიკურ მიმდინარეობას აძლევს სათავეს და კონკრეტიულ გამოხატულებას. მაშინ გვეცოდინება აგრეთვე ისიც, თუ რა არის ნამდვილათ ნაციონალური პრობლემა და ან როგორია ამისი ისტორიული სვე-ბედი. ამაზე შემდეგ წერილებში.

მაგრამ აქედანვე დავიხსომოთ შემდეგი. ნაციონალიზმი არამც თუ უეჭველათ არ სწყვეტავს ნაციონალურ საკითხს, პირიქით, ხშირათ კიდეც ართულებს, აძნელებს და, ყოველ შემთხვევაში, აგვიანებს მის გადაწყვეტას. და ეს აგრეც უნდა იყოს, რადგან თუ ბურჟუაზიის ინტერესები ზოგჯერ ეთანხმება ერის განვითარების ინტერესებს, ზოგჯერ, ანუ უფრო ხშირათ კიდევ სრულიად ეწინააღმდეგება მას და არა იშვიათათ ითხოვს ერის თვით წმინდათა წმინდის ფეხ-ქვეშ გათელვას. სულ სხვაა ინტერნაციონალიზმი. ეს მუდამ ბეჯითათ მიდის ნაციონალურ საკითხის გადასაჭრელათ, რადგან პროლეტარიატის ინტერესები მუდამ ეთანხმება ერის საერთო ინტერესებს. მუშა ხალხი რაც უნდა გარიყული დარჩეს სამშობლო ცხოვრების სიკეთიდან, რაც უნდა შხამ-ნაღველს სვამდეს მისი მკერდიდან, იგი მაინც ერთგულათ იღვწის სამშობლოს უმაღლეს სიკეთე-ბედნიერებისათვის; სამშობლოს თითეული ციდა ადგილი მორწყული არის მისი სისხლითა და ოფლით. მუშა-ხალხი **მუდამ** თავ-გამეტებული იბრძვის სამშობლოს თვით არსებობისათვის და ეროვნულ თავისუფლებისათვის. ამიტომ მუშა-ხალხის ინტერნაციონალური ბაირაღი სიმბოლო არის ერისა და სამშობლოსადმი თავგანწირულ სიყვარულისა.

ხოლო ს. დ. ის იშვიათი პირები, რომელნიც კიდევ გადარჩენილან რუსეთის სახელმწიფოში და რომელნიც ჭგონებენ, ვითომ ინტერნაციონალიზმი ჰნიშნავდეს ანტინაციონალურ მიმდინარეობასო, ეს ადამიანები... სცდებიან. მათ რომ შესწრებოდა ინტერნაციონალის მამათ მთავარი, კარლ მარქსი, უეჭველია გაუმეორებდა თავის ცნობილ სიტყვებს: „moi, je ne suis pas marxiste!“ (მე მარქსისტი არა ვარ!)

ონ.

ვარსკვლავს.

მზე ჩაესვენა... ბინდმა მოიცვა...
ცაზედ აენთო მკრთალი ვარსკვლავი;
სდუმს დედამიწა სულშეხუთული
და არცა მოჰქრის მთიდან ნიავი!
—მითხარ, ვარსკვლავო, რას მოგვის-
წავებ?..
წყვდიადი ბნელი რად არ თენდება?
დაცემულ მამულს რა ბედი ელის,
ახლის მშვენებით როს აყვავდება?
იმედით გიმზერ ლაჟვარდ სივრცეში
და საიდუმლოს ახსნას მოველი;
ნუ თუ შენც უნდა ადრე ჩაგვიქრე,
აღარ მოგვფინო სხივი ცხოველი?!.

ს. ლანდი.

უმეცრების რახაარუხი.

(დასასრული*).

იქ საცა სანმანიანს უმეცრებაც არა ჰყოფნის, ფაქტების ჩაფუჩეჩებასაც არ ერიდება, რომ თავისი ტყუილი სიმართლეთ გაასაღოს. ერთ წერილში მე ვამტკიცებდი, რომ მოსეს წიგნები ზე-განცხადების ნაყოფი კი არ არიან, არამედ ასურეთ-ბაბილონის კულტურის ზეგავლენით არის დაწერილი და ბევრი რამ პირდაპირ ამ კულტურიდან არის ამოღებული მეთქი. ამის დასამტკიცებლათ მე მომყავდა დელიჩის წიგნი „ბიბლია და ბაბილონი“, რომელიც ზეგანცხადებას სრულებით უარჰყოფს და თავის უარყოფას ამტკიცებს უტყუარის ფაქტებით. სანმანიანს მოჰყავს ამ წიგნის ის ადგილები, რომლებიც საკამათო საგანს არ შეეხება, დანარჩენებს აფუჩეჩებს და თამამად გაიძახის: სად არის აქ მსგავსებაო.

ახლა თვითონ დელიჩს მივმართოთ. 1907 წ. გამოცემის 26 გვერდზე სწერია: „ჩვენ ვხედავთ ახლა მჭიდრო დამოკიდებულებას ბიბლიისა და ბაბილონის თქმულებათა შორის ქვეყნის გაჩენის შესახებ და ამავე დროს უნაყოფო იქნება ყოველგვარი მეცადინეობა ბიბლიის თქმულებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დებულებების შესათანხმებლათ“. ამგვარათ მეცნიერი, რომელსაც თავის საგნათ გაუხდია ასურეთ-ბაბილონის სიძველეთა შესწავლა, ამგვარი შესწავლის შემდეგ ამტკიცებს, რომ ქვეყნის გაჩენის შესახებ ბაბილონის თქმულებასა და ბიბლიის თქმულების შორის მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს. სანმანიანი კი, რომლის არსებაც ქუთაისს არ გასცილებია და მეცნიერება ბიბლიას, გაიძახის: აქ არავითარი დამოკიდებულება არ არსებობსო.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბაბილონის თქმულება ბევრათ უძველესია ბიბლიის თქმულებაზე,

*) იხ. ჩვენი კვალი № 1.

მაშინ ცხადი იქნება ისიც, რომ მოსე ქვეყნის შექმნის ისტორიის წერის დროს ბაბილონის თქმულებით ხელმძღვანელობდა.

რა სწერია ამ ბაბილონის თქმულებაში?

27 გვერდზე სწერია: „მასდუკმა გასჭრა ტიამატი და ერთი ნახევრიდან შექმნა ცა, მეორედან დედა-მიწა; შექმნა ღრუბლები, რომ მათ დაეკავებიათ ცის ნამი, მოათავსა ცაზე მთვარე, მზე და ვარსკვლავები, დედამიწაზე კი მცენარეები და ცხოველები; დაბოლოს მან აურია ერთმანერთში თიხა და სამღვთო სისხლი და გააჩინა პირველი მამაკაცი და დედაკაცი“. თუ პირუთვნელი მკითხველი ამ თქმულებას შეუდარებს ბიბლიის თქმულებას, ძალიან დიდ მზგავსებას ნახავს. მოსეს ნახმარი აქვს პირველყოფილი ხაოსის სახელათ ტეჰომი. სიტყვა ტეჰომი რომ მან გადმოიღო ტიამატიდან, ეს მხოლოთ სანმანიანისთანა მეცნიერებისათვის არ არის ცხადი. 19-20 გვერდზე ჩვენ ვკითხულობთ: „1) ასსირო ბაბილონებსაც ჰქონდათ დღე „შაბათი“; 2) ამ დღეს ისინი თვლიდენ დღეთ „ღმერთთან შერიგებისა“; 3) როგორც ებრაელთა სიტყვა S' abbath (საბათ) ასსურეთ ბაბილონის სიტყვა S' abbatu (საბატუ) ნიშნავს მუშაობის შეწყვეტას, უქმეს. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ამ დღეს ისინი უწოდებდენ „ღვთის დღეს“—სწორეთ ამასვე ვხედავთ ჩვენ ძველ აღთქმაში, საცა იეგოვა ხშირათ ამბობს: „ჩემი შაბათიო“.

რას გვეუბნება ეს ალაგი? მოსეს ღმერთმა კი არ უთხრა: მეშვიდე დღე ჩემია და მას შაბათი დაარქვითო, ყოველივე ეს მოსემ გადმოიღო ბაბილონელთაგან, რომლებიც მოსეზე ბევრათ ადრე უქმობდენ ერთ დღეს, ამ დღეს უწოდებენ შაბათს და თვლიდენ მას ღვთის დღეთ.

რატომ არ მოიხსენია ამის შესახებ არაფერი ჭეშმარიტების მაძიებელმა ქუთათურმა მეცნიერმა?

21-22 გვერდზე აწერილია წარღვნა სწორეთ ისე, როგორც მოსესა აქვს, მხოლოთ ნოეს მაგიერათ იქ ქსისუტრია. ამ ალაგსაც ამოვწერდით, რომ მკითხველისა არ გვერიდებოდეს. რატომ ქუთათურმა მეცნიერმა არ ამოსწერა? ის ხომ არ ერიდება მკითხველს და მას მეცნიერების უკანასკნელი სიტყვით უმასპინძლდება! რას ამტკიცებს ეს ალაგი? იმას, რომ მოსემ წარღვნის ისტორია სიტყვა-სიტყვით გადმოიღო ბაბილონელთაგან, მხოლოთ ქსისუტრს ნოე დაარქვა.

29 გვერდზე მოყვანილია ბაბილონური სურათი. შუაშია ხე ორის ნაყოფით. იქით-აქეთ ქალი და კაცი სხედან და ხელი აქვთ ნაყოფისაკენ გაშვერილი. ქალის უკან გველია ამართული. რას ამტკიცებს ეს სურათი? იმას, რომ პირველი ადამიანების შეცოდების შესახებ ბაბილონში იყო თქმულება და ეს თქმულება გადმოიღო მოსემ.

32 გვერდზე ვკითხულობთ: „ცნობილია აგრეთვე, რომ აზრი ანგელოზთა არსებობის შესახებ დაიბადა ბაბილონში, ისე როგორც ქერუვიმებისა და სერაფიმების შესახებ წარმოდგენა“. რატომ არ მოჰყავს ეს ალაგი ქუთაისის მეცნიერს, რომელიც ასე გაფაციცებით ეძებს ჭეშმარიტებას?!

37 გვერდზე მოყვანილია ბაბილონური ლურსმული წარწერა: „იაჰვე ილუ“. ის თიხის ნაჭრები, რომლებზედაც ეს წარწერაა, ეკუთვნის გამურაბის დროს, რომელიც სცხოვრობდა მოსეზე გაცილებით ადრე. როგორც დელიჩი ხსნის, ილ ნიშნავს ღმერთს, უ—არის; ამგვარათ ეს წარწერა ნიშნავს: იაჰვე არის ღმერთი. რას გვეუბნება ეს წარწერა! ძველი აღთქმით მოსეს სინაის მთაზე გამოეცხადა ღმერთი და აუწყა თავისი სახელი: იეგოვა მიწოდეთო. ეს ბაბილონური წარწერა კი გვიმტკიცებს, რომ მოსემ სახელი ღვთისა გადმოიღო ბაბილონელთაგან, რადგანაც ცხადია ყველასათვის გარდა სანმანიანისა, რომ სიტყვა იეგოვა არის წარმოდგარი იაჰვე-დან.

რატომ არასფერს ამბობს ამის შესახებ ქუთათური მეცნიერი?

ძველი აღთქმის სიტყვით მოსეს ღმერთმა მისცა სინაის მთაზე ათი მცნება.

ახლა დავუგდოთ ყური დელიჩს. 62 გვერდის ბოლოში ვკითხულობთ: „მცნებათა უმეტეს ნაწილს იმდენათვე წმინდათ ასრულებდენ ბაბილონში, როგორც ურიები“. 63-ს ბოლოში: „სპეციალურათ ურიული არის მხოლოთ მეორე მცნება“ რას გვიმტკიცებს ყოველივე ეს? იმას, რომ ათმცნებათა უმეტესი ნაწილი მოსემ გადმოიღო ბაბილონელთაგან.

რატომ არ მოიხსენია ამ ალაგების შესახებ არაფერი ქუთათურმა მეცნიერმა? იმიტომ რომ მას ჭეშმარიტება კი არ აინტერესებს, არამედ ჭეშმარიტების დაბნელება. მიუხედავათ დელიჩის წიგნის უმთავრესი ადგილების გადაფუჩეჩებისა სანმანიანი მაინც ველარ მალავს, რომ ბაბილონის კულტურასა და მოსეს ნაწერებს შორის არის მზგავსება და დასძენს: თუ მართლა მზგავსების ნიშანწყალია, ეს უნდა ვიფიქროთ, იმის ბრალი კი არ არის, რომ მოსემ გადმოიღო ბაბილონიდან თავის თქმულება, არამედ იმისა, რომ ჭეშმარიტი გადმოცემა ქვეყნის შექმნაზე გაზღაპრებულა წარმართთა შორის, ხოლო ებრაელთა შორის ზეგანცხადების მეოხებით უცვლელათ შენახულაო. აქ კი ქუთათურ მეცნიერს სწორეთ გზაკვალი აერია: თუ ღმერთმა მარტო მოსეს შეატყობინა ქვეყნის გაჩენის ისტორია, წარმართ ბაბილონელებს ვინღა მისცა ამგვარი თქმულება? მათ ხომ იეგოვა არ ეცხადებოდა? თუ იმის თქმა უნდოდა სანმანიანს, რომ მოსეს თქმულება გააზღაპრეს წარმართებმა, დავიწყებია, რომ ეს თქმულება ბაბილონელებს ჰქონდათ მოსეზე ადრე ათასის წლით. ამ შემთხვევაში სანმანიანის აზრით მოსეს თქმულება გაზღაპრეს ბაბილონელებმა, რომლებიც მოსეზე ათასი წლით ადრე სცხოვრობდენ!

კმარა. სანმანიანს რომ გამოუდგეთ, იმისი უმეცრება იმ ზომისაა, რომ ასაწერათ არც დრო შემწევს და არცა სურვილი. მე მხოლოთ მინდოდა აღმენიშნა, თუ რა მომზადების პატრონია ქუთათური ლაპლასი და რა უკუდო ზომებით სცდილობს ის ჭეშმარიტების დაბნელებას.

ივ. გომართელი.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩვენში.

პეტერბურგიდან ჩამოვიდა პროფესორი ნ. მარი, რომელიც ამ ახლო ხანებში გაემგზავრება ანში, სადაც ის განაგრძობს არქეოლოგიურ მუშაობას. მან 30 მაისს, არტისტიულ თეატრის დარბაზში რუსულ ენაზე წაიკითხა თავის მოხსენება, ანში აღმოჩენილ იერერუიქის ეკლესიის (V—VI საუკუნეში), ბაგრატიდების სასახლის შესახებ. რადგანაც ზაფხულობით ხალხი მიემგზავრება ანში, იქ გადარჩენილ ისტორიულ სიძველეთა სანახავათ, ბ-ნ მარს დაუნიშნავს დრო ცნობების მისაცემათ, დილის 11—12-მდე და საღამოს 5—6 საათამდე. პროფ. მარს უნდა ანის პლანი და ნაშთების სია შეადგინოს და დააბეჭდინოს. გარდა ამისა, მას პეტერბურგის არქეოლოგიურ საზოგადოების საშუალებით ზომები მიეღია, რომ ანის არენდატორებმა არაფერი დაანგრიონ და ფეხქვეშ არ გათელონ.

—

ოთხშაბათს, 28 მაისს, ნაშუადღევის სამის ნახევარზე თბილისის საიდუმლო პოლიციის უფროსი როტმისტრი კარაულოვი ბრუნდებოდა ეტლით სინოდალურ კანტორიდან, სადაც ის იყო ჩვენების ჩამოსართმევათ ექსარხოსის ნაკონის მოკვლის შესახებ. როდესაც მიდიოდა სომხის ბაზარში, მას ვიღაც უცნობებმა აუტეხეს სროლა. კარაულოვი დასჭრეს ლოყაში, დასჭრეს აგრეთვე მისი მეეტლე ხელში, ხალხი შეშინდა, აირ-დაირია, რითაც ისარგებლეს დამცემლებმა და თავს უშველეს. როტმისტრი და მეეტლე მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

—

28 მაისს, საღამოს $5^1/_2$ საათზე, სპირიდონ ვოლკოვი, მისი შვილი ხარლამპი და ვერა რომანენკო მიდიოდენ კრებაზე. ბატარეინი და ანდრეევის ქუჩის კუთხესთან სამმა შეიარაღებულმა უცნობმა აუტეხა მათ სროლა, რომლის დროს მძიმეთ დაიჭრენ სპირდონ და ხარლამპი ვოლკოვები. ხოლო ვერა რომანენკო მარცხენა ფეხში მსუბუქათ. სპირიდონ ვოლკოვი საავათმყოფოში მოკვდა. ერთი დამცემელთაგანი ჯარის-კაცებმა დასჭრეს, მეორეს თავი გაუტეხეს თოფის კონდახით. ორივენი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს, სადაც თოფის კონდახით თავგატეხილი მალე გარდაიცვალა.

—

ხუთშაბათს, 29 მაისს, დილის 10 საათზე გაძარცვეს თბილისის დამოუნასთან არსებული შემნახველი კასა. ოთახში შევიდა 12 შეიარაღებული კაცი. ორს იმათგანს უჩვენებია წიგნი და უთქომთ, რო კასაში ერთი მანათი უნდა შემოვიტანოთო; ამის შემდეგ იმათ ამოიღეს მაუზერის რევოლვერები, „ხელები მაღლაო“, დაიყვირეს და დაიწყეს სროლა. ამათ ხმა მისცეს დანარჩენმა ამხანაგებმა, რომელთაც ასტეხეს აგრეთვე სროლა; ისინი გაიყვენ ორ პარტიათ, რომელთაგან ერთი შეუარდა კასის გამგე იუზეფოვიჩს კაბინეტში და მოკლა ის; მეორე—გაეშურა ხაზინადარის ოთახისაკენ, რომლის კარებთან მოკლეს მოხელე ლედკო, ხოლო მეორე დერგაჩი დასჭრეს. ბოროტ-გამზრახველებმა მოკლეს აგრეთვე შემთხვევით იქ მყოფი ვაჭარ კრილოვის რწმუნებული მერაბოვი. იმათ არც თავიანთი საქმე დაუვიწყნიათ: ამტვრევდენ ყუთებს და ვისაც რამდენის აღება შეეძლო, სჯიბავდენ ფულებს; შემდეგ გამოცვივდენ ქუჩაში, და აქეთ-იქეთ გაიფანტენ. ერთმა მოხელეთაგანმა, შენიშნა რა ისინი, აუტეხა სროლა და ერთი დამცემთაგანი დამოუნის კარებთან მოკლა. უკანასკნელს უპოვეს შემნახველ კასის წიგნი №686 ვართან მინდლიანების სახელობაზე და აღმოაჩნდა 4,924 მან. 47 კაპ. მეორე ბოროტ გამზრახველი გაიქცა მუშტაიდის კენ, დაუწყო სროლა ტრამვაის ვატმანს, რადგანაც ეგონა, რომ ის ესროდა მას, ვატმანი მოეფარა ხეს და რვაჯერ ესროლა ბრაუნინგის რევოლვერიდან. ამათ შეესწროთ გოროდოვოი, რომელმაც ხიშტზე ააგო ბოროტ გამზრახველი. მიუხედავათ ამისა, იმან გამოიძრო ხიშტი და შეეარდა შეშის საწყობის კარებში, მაგრამ იქ მოკლულ იქნა გოროდოვოის ორი ტყვიით. მას უნახეს პასპორტი თბილისის გუბ. სოფ. ხაშმის მცხოვრების იაკ. ქორქაშვილისა მესამე ჩაიგდეს პოლიციელებმა ახალ-ციხის გადასახვევში. აქ გადაეღობა მას წინ გოროდოვოი, რომელსაც დაახალა ტყვია და მძიმეთ დასჭრა. თავის მხრივ გოროდოვოიმაც ესროლა და დასჭრა დამცემთაგანი-ორივენი დაეცენ. დამცემი დაატყვევეს, უნახეს მარტო 96 მან. მეოთხე პოლიციელებმა დასჭრეს და დაატყვევეს, წაართვეს მაუზერის რევოლვერი და 274 მან. და 15 კაპ. მის ჩვენებით ის მიხეილ იმერლიშვილია, სროლის დროს შემთხვევით დასჭრეს ჯანდარმი კაბალოვი. დანარჩენი ბოროტ-მოქმედნი შეხტნენ ფაეტონზე №360 და დიდუბისკენ მიიმალნენ. როგორც ამბობენ, მთელი ფულის ჯამი შეადგენს 30,179 მან. 7 კაპ. ნაწილი ფულისა იპოვეს, მხოლოთ 24,241 მან. კვალი ჯერ-ჯერობით დაკარგულია.

—

რადგანაც ტფილისის თავად-აზნაურთა გიმნაზიაქონებრივათ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კომიტეტმა დაადგინა, რომ გიმნაზიაში მომავალ წლიდან სასწავლო ფული გადიდებულ იქნას 40 მანეთამდე.

—

როგორც ოფიციალური გაზ. „კავკაზი“ გვატყობინებს, მიზეზი ყაზბეგის სკოლის დაკეტვისა ის ყოფილა, რომ სწავლა ხსენებულ სასწავლებელში ქართულ ენაზე სწარმოებდა.

—

პოლიციამ დააპატიმრა თბილისში გაზეთის გამყიდველთა პროფესიონალური კავშირის წევრები. გარდა ამისა დაკეტეს კავშირი, ჩამოართვეს ბეჭედი და საქმეები, დაპატიმრებულნი ციხეში გაგზავნეს.

—

2 თიბათვეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში დანიშნულია უნივერსიტეტის წევრთა კრება ახალი გამგეობის ასარჩევათ. საკურველია, რაც შეიძლება შეგნებულათ მოექცენ არჩევნებს, რომ გამგეობაში მოყვენ იმისთანა პირები, რომელთაც საქმე აინტერესებდეს და არა ცარიელი სახელის ტარება.

27 მაისს ბათუმიდან თბილისში მომავალ ღამის ჩქარ მატარებლის ერთ ერთ კუპეში მოუკლავთ და გადმოუგდიათ ფანჯრიდან მეორე გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლე ქალი მარო (ფაცია) ლორთქიფანიძე, როგორც ექიმის შემოწმებიდან სჩანს ქალს აქვს ძალადატანების ნიშნები და ჭრილობა. ეტყობა ნადირ-ადამიანებს მასზე ძალადობა უხმარიათ, ნამუსი აუხდიათ

და თავისი სიმხეცის დასამალავათ გადაუგდიათ ფანჯრიდან სწორეთ იმ დროს, როდესაც მატარებელი რიონის ხიდზე მინავალა, რომ სხეული ჩავარდნილიყო რიონში. მოკლულის გვამი მდინარის ნაპირზე დავარდნილა. შეორე დღეს გვამი უპოვია გზის ყარაულს, რომელმაც შეატყობინა მაშინვე პოლიციას. მოკლულის გვამთან უპოვიათ გეოგრაფიის სახელმძღვანელო და ერთიც დაბეჭდილი წერილი ბერძნიშვილის სახელზე. ვისგანაა მოკლული ქალი, ჯერ ჯეროობით გამოუკვლეველია.

—

კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, ექსარხოსის დასაფლავებამდე აკრძალულია წარმოდგენები, სინემატოგრაფები და სხვა გასართობები.

26 მაისს, თავ-აშვეაულმა ბრბომ ქ. გუმბრში (ყარსის ოლქი) ჩაიდინა ნაფიცი ვექილის ო. ა. ბუგდაგნიანცის (რედაქტორია გაზ. „ჟაირისა") წინააღმდეგ აღმაშფოთებელ თვით-სამართალი. ბრბო შემოეხვია სანონიანცის სტამბას, სადაც იბეჭდება „ჟაირი", გამოიყვანა ძალათ იქიდან ბ-ნი ბუდაგიანცი, დაუწყეს ცემა, ყვირილითა და ლანძღვით წაათრია ის პოლიციაში, როდესაც მივიდენ პოლიციაში ბრბო თხოულობდა მაზრის უფროსის თანაშემწისაგან, რომ მან დაატყვევოს ბ-ნი ბუდაგიანცი და გადაასახლოს გუმბრიდან. ისინი ხმა-მაღლა ყვიროდენ, რომ ბუდაგიანცი მოთავეა ადგილობრივ სოციალისტებისა, რომ ის თავის გაზეთის გვერდებზე ჰქადაგებს ატეიზმს, მთავრობის დაუმორჩილებლობას და აღელვებს ნოქრებსა და ქარგლებს ხაზეინების წინააღმდეგ (Заковкозы).

რ უ ს ე თ ი ს.

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვარშავაში—22 კაცს; ირკუტსკში—ორს.

—

„რუსკია ვედომოსტი" დააჯარიმეს 1000 მან. იმიტომ, რომ 9 მაისის ნომერში შეცდომით მოათავსა ტელეგრამა ხერსონში 20 გლეხის სიკვდილით დასჯის შესახებ. ნამდვილათ კი დასჯილი ყოფილა 12 გლეხი.

—

ეკატერინოსლავში, „ფრანციის" სასტუმროში აფეთქდა ერთი ახალგაზდა ქალის ოთახში ბომბა; ქალი ამ დროს ქალაქში იყო წასული; მსხვერპლი არ მომხდარა, დაზიანდა მხოლოთ სამი ოთახი. პოლიციამ გაჩხრეკის დროს ქალის ჩემოდანში ნახა ჯოჯოხეთის მანქანა.

—

მოსკოვში შედგა სპიჩკის მკეთებელ ფაბრიკების პატრონთა სინდიკატი.

—

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: ვილნოში—ერთს, რიგაში—ერთს, კიევში—ორს, დუბნოში—სამს, ბაქოში—ერთს.

—

პოლონელებს აღუკრძალეს პოლონეთის სკოლებში ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება.

—

„კოვსკაია მისლ" დააჯარიმეს 500 მან.

—

ქ. ოდესის საბჭომ გადასდო ყოველწლიურათ 5000 მან. „რუსთა კავშირის" მიერ დაარსებულ გიმნაზიის სასარგებლოთ.

—

ქ. ვორონეჟში სიკვდილით დასაჯეს ქალი ფედოროვა, რომელმაც გუბერნატორს ყუმბარა ესროლა.

—

ქ. სიმფეროპოლში გაჩხრიკეს რამდენიმე ნაფიცი ვექილი.

—

ქ. ტამბოვში ჩხრეკის დროს ბოქაულს, ჟანდარმის აფიცერს და გოროდოვებს სროლა აუტეხეს; დასჭრეს ერთი გოროდოვი; მოკლეს ერთი თავდამსხმელთაგანი ახალგაზდა კაცი.

—

პეტერბურგის სამოსამართლო პალატამ, ლ. ტოლსტოის კარგ ნაცნობსა და თანამოაზრეს მოლოჩნიკოვს ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა ლევ ტოლსტოის ზოგ ნებადართულ თხზულებათა გავრცელებისათვის. ამ გარემოებამ ძალიან შეაწუხა და დააღონა რუსეთის მცხოვანი მწერალი. ასეთივე სასჯელი გადაუწყვიტეს ამ 2 თვის წინათ ლევ ტოლსტოის მეორე თანამოაზრეს ბოდიანკის, რის გამოც მაშინ მას მოხუცი გულწრფელათ სწერდა—რომ მას წყურია დაატუსაღონ თვითონ ის თავისი ნაწერებისათვის და არა სხვა ვინმე, დაატუსაღონ ციხეში, ნამდვილ, ცივ, მყრალ და ბნელ ციხეში. მარა, როგორც ამას წინათ ერთმა მინისტრთაგანმა აღიარა, მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ლევ ტოლსტოი სწორეთ ამ გზით—სხვების, მისი თანამოაზრეების დატუსაღებით დასაჯოს; და მართლაც უმწვავეს და უსასტიკეს სასჯელს ტოლსტოისთვის ის ვერც მოიგონებდა.

—

უ ც ხ ო ე თ ი ს.

სომხურ გაზ. „იერიტასარდ ჰაისტანს" ატყობინებენ თეირანიდან, რომ ქურთები დასცემიან ურმიას (სპარსთა-სომხეთი) და ამოუჟლეტიათ 2000 კაცი და გაუძარცვავთ 36 სოფელი. ეს ამბავი ოფიციალურათ შეუტყობინებიათ სპარსეთის მეჯლისისათვის (პარლამენტი), სადაც ამ ამბის შესახებ ყოფილა კამათი.

—

ქ. სტამბოლში გარდაცვალებულ დოქტორ მ. ვართაზანიანს სომხობისათვის შეუწირავს 2,000 ოქრო, რომლის პროცენტით უნდა გათხოვდნენ უპატრონო და ღატაკი ქალები.

—

ეგვიპტის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებას 300 ოქრო გაუგზავნია ოსმალეთის სომხეთში, დაზარალებულ სომხების შორის დასარიგებლათ.

—

სულთანს 45,000 ყურუში უჩუქებია სტამბოლის სომეხთა საპატრიარქოსათვის.

—

საბერძნეთის მთავრობა პორტას თხოვს უკან დააბრუნონ კ. სამოსის თავადი-გუბერნატორი და ჯარი. კუნძულზე ჯარსა და ინსურგენტებ (აჯანყებულთა) შორის სისხლის მღვრელი შეტაკებები ხდება.

—

სერბიის სკუპშჩინაში (პარლამენტში) არჩეულ იქმნენ მთავრობის მომხრე დეპუტატები 81. სოციალ-დემოკრატები მხოლოთ ერთი.

—

ინგლისის მუშათა პარტიამ შეკითხვა შეიტანა პარ-

ლამენტში მეფე ედუარდის რუსეთში გამგზავრების შესახებ. დეპ. გრედი პარტიის სახელით მოითხოვს, რომ სტატ-სეკრეტარის ჯამაგირი შემცირებულ იქმნას 1,000 მან. წელიწადში. მუშათა პარტიის მეორე დეპ. სემერბელი წაიკითხავს სტატისტიკურ ცნობებს რუსეთში გამეფებულ რეპრესიების შესახებ.

—

ამ დღეებში საფრანგეთის დიდებული ბელეტრისტის ზოლას ნეშთი გადაიტანეს „პანთეონში“ (დიდების ტაძარში). ცერემონიის შემდეგ ვიღაც უცნობმა მძიმედ დასჭრა მაიორი დრეიფუსი.

—

მოძრაობის გამო კ. ვენაში დაკეტეს უნივერსიტეტი და მაღალი ტეხნიკური სამეურნეო სასწავლებელი; გაიფიცენ პრაგაში ჩეხიის უნივერსიტეტის და სხვა მაღალი შკოლების ყველა სტუდენტები.

სახელმწიფო დუმა.

16 მაისს წამოყენებული კითხვა —დათხოვნილ იქნას დეპ. კოსოროტოვი დუმიდან, თუ არა-გადაწყდა 19 მაისის სხდომაზე. ეს სხდომა ნამდვილი ტრიუმფი იყო მემარჯვნე ორატორებისათვის. დ. **გულკინი**, დ. **ბალაკლეევი**, **პურიშკევიჩი** **და** **მარკოვი** 2 ერთმანეთს ეჯიბრებოდენ „ჭეშმარიტ რუსთა“ აზრების გამოთქმაში და იუსტიციის მინისტრის, შჩეგლოვიტოვის დაცვაში.

დასასრულ, ხმის უმეტესობით დუმამ თავის წრიდან დროებით გააძევა ს. დ. დეპ. კოსორატოვი. გაძევების წინააღმდეგი აღმოჩნდა 109 დეპ. ოპოზიციის წევრი, კაპუსტინი და ერთი მემარჯვენე გლეხი.

20 მაისის სხდომაზე დუმამ სხვათაშორის განიხილა აგრეთვე ხარჯთ-აღრიცხვა გზათა სამინისტროს არაჩვეულებრივი ხარჯებისა და დაამტკიცა კიდეც.

ამავე სხდომაზე მიიღო დუმამ ხარჯთ-აღრიცხვა მინისტრთა საბჭოს კანცელიარიისა და **შეუდგა კამათს** უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის მოხსენებაზე **შესახებ ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირებით უზრუნველყოფისა.** მომხსენებელი კომისიის აზრით, საჭიროა გადაიდოს რუსეთის სამღვდელოების ჯამაგირებათ 12 მილიონ მანათის გარდა კიდევ 400,000 მანათი, ვინაიდან ის ნივთიერათ გაჭირვებულია და იძულებულია ხალხს მოსთხოვოს ზედმეტი სასყიდელი სხვა და სხვა საჭირო მღვდელ მსახურებისათვის.

ამ საგანზე სალაპარაკოთ ჩაეწერა 60-მდე ორატორი, რომელთაგან სამღვდელოების წინააღმდეგ ილაპარაკა მხოლოთ სამმა გლეხმა.

პირველათ ილაპარაკა სინოდის ობერპროკურორმა და გამოსთქვა სურვილი, რომ სამღვდელოებას ეძლეოდეს ღირსეული ჯამაგირი. მისი აზრით მღვდელს უნდა ეძლეოდეს წლიურათ 600 მან. მთავარს 300 მან. დიაკვანს 200 მან. **ეპ. მიტროფანეს** აზრით საჭიროა სამღვდელოება იმდენათ იქნას ხაზინისაგან დაკმაყოფილებული, რომ არ ჭირდებოდეს მას ხალხისაგან ზედმეტი ფულის აღება.

მღვდელი **გეპეცკი** იმის დამტკიცებასაც კი ცდილობს, რომ რუსეთის სამღვდელოებას დიდი კულტურული და განმანათლებელი ღვაწლი მიუძღვის ხალხის წინაშე, რისთვისაც ის ღირსეულათ უნდა იქნას დაჯილდოვებული.

მღვდელი **კომარეცკი** ოქტომბრისტების მონდობილობით აცხადებს, რომ ის თანაუგრძნობს სამღვდელოების ჯამაგირებით უზრუნველყოფას, რათა პირწმინდათ შეასრულონ მათ „მოძღვრის“ მოვალეობა.

კადეტთა წარმომადგენელი **კარაულოვი** ამბობს: „მე ხალხის თავისუფლების ფრაქციისაგან მონდობილი მაქვს განვაცხადო, რომ... ჩვენ ხმას მივცემთ როგორც სამღვდელოებისთვის ჯამაგირების მომატებას და მომხსენებელ კომისიის წინადადებას, ისე მისი უსამღვდელოესობის მიტროფანეს მიერ წარმოდგენილ ფორმულას“.

მემარცხენე გლეხი დეპ. **კროპოტოვი** კრიტიკულათ ეხება სამღვდელოებას და ამბობს: სამღვდელოება თავის გაჭირვებაზე ბევრს ლაპარაკობს და 13 მილ. მანათს ჯამაგირათ მოითხოვს; ამასაც არ ჯერდება და ხალხს მღვდელმსახურებისთვის ტყავს აძრობს, მაშინ როდესაც გლეხკაცობა სულით ხორცამდე გაღატაკებულია და მასზე არავინ ზრუნავს. კიდევ კარგი, რომ სამღვდელოება

ჯამაგირების მომატებით დაკმაყოფილდებოდეს. მაგრამ, ის ხაზინიდანაც მიიღებს საკმაო ჯამაგირს და ხალხსაც თავისებურათ წინანდელებრ დაუწყებს ყვლეფას. ყოველ-შემოხვევაში ორატორის აზრით საჭიროა დუმამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ეგრეთ წოდებული „შავი სამღვდელოება“—არქიეპისკოპოზები და მიტროპოლიტები—ძალიან დიდ ჯამაგირს და შემოსავალს იღებენ. მაგალ. მოსკოვის მიტროპ. ღებულობს 76,000 მ., პეტერბურგის—200,000 მან., ნოვგოროდის 300,000 მ. და მრავალი არა ნაკლებ 20,000 მანეთისა; მონასტრები ხომ მილიარდობით ანგარიშობენ თავიანთ შემოსავალს. აი ასეთ წყაროებიდან შეეძლო სამღვდელოებას დაეკმაყოფილებია თავისი თავი და არ მიემართა ხაზინისათვის. (ტაშის ცემაა მარცხნით.) ამიტომ გლეხთა ჯგუფი უარყოფს სამღვდელოებისთვის ჯამაგირების დანიშვნას ხაზინიდან და წინადადებას აძლევს დუმას უარყოს მან ამის შესახებ კანონპროექტი.

სამღვდელოების წინააღმდეგ ილაპარაკა მემარჯვენე გლეხმა **იურკევიჩმაც**, რომლის აზრით დუმამ უპირველესათ გლეხკაცობის გაჭირვებაზე უნდა იზრუნოს რამე, მიიღოს ზომები გაღატაკებულ გლეხკაცობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და არა სამღვდელოების გასასუქებლათ. („მართალია“, ტაშისცემა მარცხნით.)

დასასრულ დუმა შეუდგა კანონ პროექტის ნომრობით განხილვას და ბოლოს დაამტკიცა ის სრულიათ შეუცვლელათ.

23 მაისის სხდომაზე დუმამ განიხილა 44 დეპუტატის შეკითხვა კრეისერ „რიურიკის“ აშენების შესახებ. ამ დღეს დუმის ყველა ფრაქციების წარმომადგენლებმა გაილაშქრეს საზღვაო სამინისტროს წინააღმდეგ. მემარჯვენე და ცენტრის ორატორები ერთხმათ აბრალებდენ ღალატს სამინისტროს „რიურიკის“ აშენების საქმეში და თხოულობდენ დამნაშავე პირების სამართალში მიცემას. მინისტრის ამხანაგის პასუხის მოსმენის შემდეგ, მათ მორიგ საქმეებზე გადასვლის შემდეგი ფორმულა წარმოადგინეს: „დუმამ მოისმინა მთავრობის განმარტება და შესაძლოთ ვერ დაინახა ამ განმარტებით დაკმაყოფილება; ამიტომ მოელის მთავრობისაგან აღნიშნულ ბოროტ-მოქმედების გამოძიება-გამორკვევას და თუ ბოროტმოქმედება დამტკიცდა, დამნაშავეთა პასუხის გებაში მიცემას“. ს. დ. და ტრუდოვიკებმა წარადგინეს სხვა ფორმულა, რომლითაც ისინი აღნიშნავდენ მსგავს ბოროტ-მოქმედებების შესაძლებლობას სახელმწიფოში მანამ, ვიდრე ძირიანათ არ შეიცვლება მართვა-გამგეობის წესრიგი და არ დაარსდება სახალხო წარმომადგენლობა, არჩეული საყოველთაო თანასწორი კენჭის ყრით. პროგრესისტები და კადეტებიც მემარჯვენეებს გაყვენ და ამნაირათ დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა მემარჯვენეთა და ცენტრის ზემოხსენებული ფორმულა, რომლის შემდეგ დუმა შეუდგა კამათს საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ.

თავდაპირველათ მომხსენებელი აუწერს დუმას საზღვაო სამინისტროს საზარელ მდგომარეობას და ფლოტის ყოველ მხრივ მდგომარეობის გამოსარკვევათ აუცილებელ საჭიროებათ თვლის რევიზიის მოხდენას და უწყების სრულ რეორგანიზაციას.

კამათში ირკვევა, რომ კომისიის მოსაზრებასა და წინადადებას ემხრობიან როგორც ოქტომბრისტები, ისე მემარჯვენენი და კადეტები. ყველა ამ ფრაქციების აზრით, ჯერ საჭიროა გამორკვეულ იქნას ფლოტის მდგომარეობა, მოხდეს საზღვაო უწყების რეორგანიზაცია და ‘ერე შედგეს საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა, გადაიდოს საჭირო ფული ფლოტის აღსადგენათ და გაძლიერებლათ.

სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელი პაკროვსკი კი აცხადებს: ახალი ბაზრების მოსაპოვებლათ საჭიროა ძლიერი მებრძოლი ფლოტი. მარა რუსეთის კაპიტალი უცხოეთის კონკურენციისთვის კიდევ არ არის მოღონიერებული: საერთაშორისო ბაზარზე რუსეთის ბურჟუაზია ევროპის ბურჟუაზიასთან მხოლოთ სასაცილო კარიკატურას წარმოადგენს. ჩვენი დუმის უმრავლესობა კი ისევ თავისი მომავლინებელ ბიუროკრატიის მაგალითს მისდევს... . ძველი წყობილება აღდგენილია; ყვავი ისევ შემოჯდა ჩვენი სახლის სახურავზე და ისევ დაგვჩხავის; მოფრინდენ ისევ მებრძოლთა სისხლით მორწყულ მინდორზე ძველი ფრინველები და ისევ ძველებური სიმღერა შემოსძახეს: მოუწოდებენ ხალხს თავისი უკანასკნელი გროში ხაზინის უძირო ტომარაში ჩაყაროს, მოუწოდებენ მას, რომ თავის ბორკილები თვითონვე გაიჭედოს: ააგოს მრავალ მილიონიანი ფლოტი! (ტაშისცემა მარცხნით)“

დუმას პ. სტოლიპინმა გრძელი სიტყვით უპასუხა, რომლის შინაარსი შემდეგია:

მთავრობას არ შეეძლო არ ეკითხა: **ჭირდება, თუ არა რუსეთს ფლოტი, როგორი ფლოტი ჭირდება მას და შეიძლება დაგვიანება ამ საქმის თუ არა?** პირველ ორ კითხვაში მთავრობა სავსებით ეთანხმება დუმას და მზათ არის მასთან ერთათ ერთსულ და ერთხორც იმოქმედოს, მარა რაც შეეხება მესამე კითხვას-ფლოტის აშენების საქმის დაგვიანებას—მთავრობა იძულებულია თავისი უთანხმოება გამოაცხადოს და მოითხოვოს დუმისგან საჭირო ფულის ეხლავე გადადება რუსეთის დარღვეულ საზღვაო ძალების აღსადგენათ: **ოთხი წლის განმავლობაში ოთხი დიდი ჯავშნიანი გემის ასაშენებლათ და შესაიარაღებლათ.**

ამ რიგათ მთავრობის აზრით ჯერ საჭიროა ფულის გადადება, რათა მას საშუალება მიეცეს დანგრეული ფლოტი რამდენიმეთ მაინც აღადგინოს, საზღვაო სამინისტრომაც თავისი საქმიანობა თუ უსაქმობა საქმეში გამოხატოს და შემდეგ შეუდგება ის სამინისტროს რეორგანიზაციას და სახელმწიფო დაცვის საზოგადო პლანის შემუშავებას, რასაც სახლ. დუმა დღესვე მოითხოვს და რაც შეუძლებელია.

დუმამ თავისი კრიტიკით და გამოაშკარავებით დიდი ღვაწლი დასდო რუსეთს: მისი არსებობის დროს აღარ შეიძლება მოხდეს ის უმსგავსოება-უწესოებანი და ბოროტ-მოქმედება, რასაც წინათ ადგილი ქონდა. სამინისტროს ამ უწყებაში (ხანგრძლივი ტაშისცემაა) მარა მთავრობა თხოულობს, რომ საშუალება მიეცეს საზღვაო სამინისტროს დაამტკიცოს თავისი ნიჭი, საქმიანობა, ერთგულება და მით დაიმსახუროს დუმის ნდობაც. ეს მოხდება მაშინ, როცა დუმა საჭირო ფულს გადადებს ფლოტისთვის. (სიცილი მარცხნით). კამათი ფლოტის შესახებ დასრულდა დუმამ ხმის დიდი უმეტესობით (194—78 ხმ.) მიიღო საბიუჯეტო კომისიის ფორმულა მცირეოდენი შესწორებით კადეტების მხრივ და შეუდგა ხარჯთ-აღრიცხვის ნომრობით განხილვას. მან უარყო 11,250,000 მან. გადადება ახალი ჯავშნიანი გემების ასაშენებლათ და მიიღო ხარჯთ-აღრიცხვის სხვა ნომრები, რომლით აღნიშნული იყო საზღვაო სამინისტროს მიმდინარე აუცილებელი მცირე ხარჯები.

დუმის შემდეგი სხდომა იყო 26 მაისს, **რომელზედაც მოხდა მესამე დუმის დამახასიათებელი ინციდენტი** რუსულ საეკლესიო სამხატვრო სამზრუნველოს კომიტეტის სასარგებლოთ 36,329 მან. გადადებისა გამო.

კარლო ჩხეიძე აცხადებს, რომ რუსეთში ისედაც ბევრია ხატები, ამას გარდა მართმადიდებელი ქრისტიანის რწმენით ხატს ცხოველმყოფელი ძალა აქვს; მაშასადამე მას შეუძლია, თუ კი მართლა ასეთი ძალა არსებობს, თვითონვე უშველოს თავის საქმეს და თუ ეს

ასე არაა, მაშინ კი საქმე დაღუპულია. ამ სიტყვებზე ატყდება დუმაში წარმოუდგენელი ხმაურობა და ყვირილი: დაიკარგე, საძაგელო, გადი, გაეთრიე გარეთ; კარებიდან უნდა გავაძეოთ და სხვა.. სხდომა შეწყდა. განახლების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ჩხეიძეს სიტყვებში მართლაც იხატება რელიგიოზური გრძნობის შელახვა, რისთვისაც წინადადებას იძლევა, დათხოვილ იქნას ის დუმიდან 15 სხდომის განმავლობაში. ჩხეიძე პასუხათ თავის აზრს იმეორებს და პროტესტს აცხადებს თავჯდომარეს განმარტებაზე, ვითომ მას (ჩხეიძეს) სდომებოდეს რელიგიოზური გრძნობის შელახვა, პროტესტს აცხადებს მთელი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია სხდომის დარბაზიდან დემონსტრატიულათ გასვლით. პორიშკევიჩი ადგილიდან იძახის: „დაიკარგეთ, კავკასიელო მაიმუნებო!“ მიმავალი გეგეჭკორი კი გზათ უპასუხებს: „ფსიხოპატო“! დუმამ როგორც კანონპროექტი ისე ჩხეიძის გაძევება დაამტკიცა. (170-80 ხმ.)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„Закавказье“, რომლის არსებობა ქვეყანას უკვე დავიწყებული ჰქონდა, ამ ბოლო დროს—კეტოდინებათ—ახალ რედაქციის ხელში გადვიდა. გაზეთს კიდეც დაეტეო ცვლილება. ახალმა რედაქციამ ერთ თავის სანიმუშო ნომრით (№ 112) რამოდენათმე გვაუწყა თავისი poxession de foi. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ერთ-ერთ საკითხს.

„უამისოთ—სწერს იგი— თუ ნაციონალური საკითხი არ იქნა მოწესრიგებული, ისე ვერავითარ სოციალურ თუ პოლიტიკურ რეფორმას ვერ მიეცემა მკვიდრი საფუძველი.“

იმაზე კი, თუ რაგორ უნდა მოწესრიგდეს საკითხი, გაზეთი ჯერ-ჯერობით სდუმს. აღნიშნავს მხოლოთ, რომ:

„კავკასიის ძირითადი მცხოვრებნი უეჭველათ ერთათ შეკავშირებულნი არიან საერთო ეკონომიურ და კულტურულ მოთხოვნილებებით, რომელთა დაკმაყოფილება ერთნაირათ ძვირფასი და აუცილებელია არა მარტო ყველა ქართველებისთვის, მუსულმანებისთვის და სომხებისთვის, არამედ აგრეთვე იმ რუსებისთვის, რომელნიც უნდა მიეთვალოს ამ განაპირა ქვეყნის ძირითად მცხოვრებთ... (მაგ. გადმოსახლების საკითხი. ცენტრალურ გუბერნიებიდან გლეხების გადმოსახლება და ებრეთ წოდებული კოლონიზაცია არღვევს კავკასიის ყველა ეროვნების ძირითად მცხოვრებთა ინტერესებს). ასეთივეა ადმინისტრაციისა და სასამართლოს საქმის წესიერათ დაყენება, გადასახლების ვითარება და მრავალი სხვა საკითხები, რაც ერთნაირათ აინტერესებს ყველა ადგილობრივ მცხოვრებთ და რაც კავკასიას ხდის, თავის საკუთარ ცხოვრების მექონე, განსაკუთრებულ ქვეყანათ“.

დაბოლოს, გაზეთი იმეჯნება რაგორც შოვინისტებისაგან, ისე ამათ საწინააღმდეგო მეორე უკიდურესობისგან.

„უკანასკნელ წლების ამბებმა ნათელ-ჰყო რობორც ნაციონალურ განკერძოების უნიადაგობა, ისე ნაციონალურ ინდიფერენტიზმის (გულგრილობის) უაზრობა“.

რედაქცია საბუთად ადგილს უთმობს აგრეთვე აგრარუი საკითხს, რაც ასე საჭიროებს შესწავლას.

რაც შეეხება მიმართულებას, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ განახლებული „Зак.“ იქნება ჩვენი ნაციონალ-დიბერალების ორგანო, რადგან სტატიებში ბევრია ტკბილი სიტყვები და „რეალური პოლიტიკაც“ ერთობ ხაზგასმით არის დაბირდაბირებული საერთო, საკანონმდებლო იდეალების წინააღმდეგ.

ასეა თუ ისე, ახალი რედაქცია ბეჯითათ ცდილობს თავიდან აიცილოს ის სენი, რამ-ც ბ-ნ გოთუას „Зак.“ ზეზეულ ათ მოჭკლა, იგი ცდილობს გაზეთს მისცეს პოლიტიკურ ორგანოს ელფერი და ესეც დიდი წელობაა ჩვენს უფერულ დროში.

* * *

ქართული გაზეთები ამ ბოლო დროს რაგორღაც „დიდ-მარხვის კიდობზე“ არიან დამდგარნი, თითქოს განვდილ ბრძოლაში მოდღიდიყვნენ და ან მძიმე ცოდვებით დატვირთულიყვნენ. მხოლოთ ბ-ნ არ. ჯ—შვილს („ამირანიდან“) არ ელევა სიტყვების ხალისი, რადგან მას ცოცხალი ეგულება სოციალ-დემოკრატები..

თავის უკანასკნელ ფელეტონში („ამირ.“) № 69 იგი სწერს:

„მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ სოციალ-დემოკრატია და რუსის შავ-რაზმელები ორი პოლიუსია, მაგრამ მაინც ერთსულოვნება დავინახე მათ შორის; ეს კი მოხდა იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატიულ აზროვნება სათავეშივე ყალბია. სოციალ-დემოკრატები დარწმუნებულნი არიან. რომ ცენტრალიზმი და რუსეთის მთლიანობა იგივეა, რაც სოლიდარული ურთიერთობა მუშათა შორის“.

რაც შეეხება შავ-რაზმელსა და ს.-დ. „ერთსულოვნებას“ ამაზე ლაპარაკიც მეტია, მით უფრო, რომ თვითონ ავტორი აღიარებს დასასრულებულ ბანკათა შორის გარდაუვალ უფსკრულს. ციტატის მეორე ნახევარში კი მართალია მხოლოთ ის, რომ ჩვენში მართლაც არიან სოციალ-დემოკრატები, რომელნიც ფიქრობენ, ვითომ რუსეთის „მთლიანობას“, ე. ი. განაპირა ქვეყნების ავტონომიის უარყოფა ხელს უწყობდეს მუშათა სოლიდარობას; მაგრამ არიან სხვები (ს.-დ.), რომელნიც ენერგიულათ უარყოფენ ასეთ შესედულებას. ცხადია მთელ სოციალ-დემოკრატიაზე არ ითქმება ის, რაც ითქმის მხოლოთ ერთ ნაწილზე. მაგრამ შეიძლება ბ-ნი ჯ—შვილი არ არის გაცნობილი მთელ სოციალ-დემოკრატიასთან; მაშინ არ უნდა სწერდეს იმაზე, რაც არ იცის.

* * *

ახალმწიფო დუმის იმ სხდომებმა, რომელიც ეხებოდა სამინისტროს საზღვაო უწყების საკითხთა განხილვას, მხიარულ გუნებაზე დააყენა პროგრესიული ორგანოები, რაკი მთელმა დუმამ იშვიათის ანსამბლით (ერთ სულოვნებით) და მასთან ენერგიულათ დაჭმო უპასუხისმგებლო გამგეობა, მოურიდებლათ ამხილა მათ თვითნებობა და ბოროტ-მოქმედებანი. ასე გაზ. „Речь“-ი სწერს:

„მემარჯვენეთა კადეტური „რეჩები“ და კადეტების პატრიოტული „რეჩები“ თითქმის ერთ ხოროტ იქცა. ქვეყანა წაიკითხავს ამ სიტყვებს (რეჩებს) და ხანგრძლივი ანტრაქტის შემდეგ (ე. ი. პირველ და მეორე დუმის მერე) ერთხელ კიდევ იგრძნობს, რომ არის საკითხები, რომელთა შესახებ ყველანი თანახმანი არიან, —და ამ საკითხებს ასე თუ ისე მივყევართ ძველი რეჟიმის უარყოფისაკენ“ № 123).

კაზეთს ავიწუდება, რომ თუ დასახელებულ სხდომაზე მემარჯვენეებმა ძველი რეჟიმის ძირის კამოთხრაში მართლაც შეიტანეს თავისი წვლილი, ეს მოხდა მათი შეგნებისა და სერვილის წინააღმდეგ. არამცთუ მემარჯვენენი თვით ცენტრის ბლოკები და მათ შორის გუჩკოვი რომელიც ღაღადებდა: „ამ ე. ი. საზღვაო უწყებაში საჭიროა რეფორმები კი არა, მთელი კატასტროფა, მთელი რევოლიუცია,“—თვით ეს ბატონები თავის ამხედრებაში ვერ მიდიოდენ ლოდიკურ დასკვნამდე, ვერ სცილდებოდენ საზღვაო უწყებას და ამ რიგათ ხელს აფარებენ თვით უწყების მომაღლინებელ უპასუხისმგებლო მთავრობას და მთელ სისტემას.—

ამის შესახებ საკმართლიანთა სწერს თვით ლიბერალური „Слово“:

„თუ კი უპასუხისმგებლო უწყებას არ შეუძლიან ოთხ ჯავშნიან ბემის გაკეთება, რატომ ღა გგონიათ, რომ უპასუხისმგებლო დუმბაძეებს უშიშრათ შეუძლიანთ აკეთონ 130 მილიონ ხალხის სვე-ბედი? რატომ არ ფიქრობთ, რომ ჩვენი სასამართლოები, სხვა და სხვა გვარი სახელმწიფო დაწესებულებანი, სამმართველოები, მოხელენი და სხ.. რატომ არ ფიქრობთ, რომ ყველა ესენი იგივე ჯავშნიანი ბემებია—ძველი კალოშებია, რომელიც წარმოშვა ძველმა რეჟიმმა?.. მთელი რუსეთის არსებითი, მორიგი საჭიროებაა ძირითადი რეორგანიზაცია ყველა უწყებათა, ამათი შეთანხმება ახალ წეს-წყობილების, ახალ ცხოვრების მოთხოვნებთან...“

სამშობლო.

ტურფა სამშობლოვ! მიიღე ჩემგან
სასიყვარულო წრფელი სალამი,
მსურს გიზიარო ჩაგრულმა შვილმა
სულის მქენჯნავი სევდა-ვარამი.

—

ზამთარ და ზაფხულ დაუკნობელო
გულ-მკერდს გიქარგავს ია ვარდია,
ვინცა იხილავს შენსა მშვენებ ს
მსწრაფლ განეშორის გულის დარდია.

—

ამაყათ მჩენი მთანი კლდოვანი
დაბლა კორდ-ველებს გადმოჰყურებენ,
ბუნების ძალნი ველს ხავერდოვანს
მაცოცხლებელ ნამს დააპკურებენ.

—

ტყისა შრიალი, წყაროს ჩუხჩუხი,
უერთდებიან ბულბულის სტვენას,
ნიავი ყვავილს ეალერსება
თავის სატრფოსთან განაგრძობს ხვეენას.

—

მაგრამ, სამშობლოვ, შენი კეკლუცი
თვალის და გრძნობის მტყვევი ბუნება,
ცხოვრებისაგან გაბასრულ გულსა
ოდნავათაც არ ესალბუნება.

—

შენი სიტურფით ნამცნევ მწარ გრძნობას
მშრომელი მარად უკვნესებია,
ჭაბუკის გული სიყვარულის წილ
სევდისა ტალზე უკვესებია.

—

ჩაგრული ოხვრით ბანს ეუბნება
ბედნიერების კმაყოფილ ღიღინს,
აი ეს არის, სამშობლოვ ჩემო,
რაც სულსა შხამავს და გულსა მიღრღნის.

—

ჩვენთვის ცხოვრება შხამ-ნაღველია,
ია და ვარდი სულ არ გვიყვავის,
ბულბულის სტვენა არა გვსმენია
შავი ყორანი თავზე დაგვჩხავის.

—

ს'ვისათვის ჰყვავის ვარდი კოკობი,
მშრომელთ წილათ ჰხვდათ ნარი-ეკალი,
სისხლის წვეთებით აღნიშნულია
ცხოვრების ველზე იმათი კვალი.

ხაშმელი.

ფაგრიკა

(დასასრული*).

*
* *

მზე უკვე დასავლეთ ჰორიზონტს უახლოვდებოდა, ის ნელ-ნელა, როგორც უზარ-მაზარი გავარვარებული წითელი ბურთი, მიგორავდა ქვევით, თითქოს სურს ჩაეშვას შავ ზღვაში და მისი გრილი ზვირთებით გაგრილდესო. მისი მარჯნის ფერი სხივები ნელ-ნელა სტრვებდა მობიბინე ვაკე-წალკოტებს და ამწვანებულ მთა-ქედების მწვერვალებს თავს დასტრიალებდა; ისინი, როგორც ლაშქარს გამგზავრებული მხედარი თავის სატრფოს, ისე ყელში ეხვეოდენ მათ, ათრთოლებული ეწებებოდენ მწვანე ფოთლებს და ნაწყენი ესალმებოდენ მათ. ნელ-ნელა ეშვებოდა ღამის წყვდიადი. ბოის საამური ნიავი დაჰქროლავდა არე-მარეს. დღის სიცხისაგან შეწუხებული ბუნება იფურჩქნებოდა და ცოცხლდებოდა. ირგვლივ გაისმოდა მისი ჰარმონიით სავსე მიმხიბვლელი მუსიკა, გაისმოდა მისი სიმღერის მომაჯადოვებელი მელოდიები. დიახ, ბუნება ისმენდა მის ჯადოსნურ მუსიკას, ის ღიღინებდა ძილის პირებს და ემზადებოდა მოსასვენებლათ.

ამ დროს ქეთო თავზე შალ წამოხურული ფეხ-აკრეფით ჩავიდა თავის სარდაფში, სადაც მან გაატარა ორი მესამედი თავის სიცოცხლისა, სადაც მან ბევრი მწუხარება-ვაება გამოსცადა. სარდაფში უკვე ბნელოდა. ის ინსტიქტურათ მიუახლოვდა ერთ-ერთ ოთხფეხა დამტვრეულ სტოლს, რომელიც შეადგენდა მისი ოთახის უმთავრეს სამკაულს. შალი იქით გაისროლა ტახტზე და ხელში ჩამუქული ფული სტოლზე დაანარცხა. ფულმა ჩხარუნი მოადინა. თამრომ, რომელიც იქით კუთხეში რაღაცას აკეთებდა, თავი აიღო, უკან მოიხედა და, რაკი დაინახა დედა, მიაშურა მას.

*) იხ. ჩვენი კვალი № 1.

— დედა, ჯამაგირი მიიღე? გულუბრყვილოთ შეეკითხა დედას თამარო.

ქეთო, თავ-ჩაკიდული, დაფიქრებული, დასცქეროდა ფულს სტოლზე.

— ჰო, შვილო, ნაღვლიანათ მიუგო ქეთომ.

— დედა, მოუტან მამას წამალს, გახარებული უთხრა დედას თამრომ და წასასვლელათ მზადება დაიწყო.

— სინათლე არაა-ქა?

— არაა, დედა, ნისიათ ნავთი არ მოგვცა მენავთემ!

— აბა, გაიქე, ჯერ ნავთი მოიტანე!

თამარო ციბრუტივით გატრიალდა, ნავთის ჭურჭელი ხელში აიღო, გამოართო დედას გროში და გაიქცა ნავთისათვის. მან სწრაფათ მოიტანა ნავთი, ჩაასხა ლამფაში, აანთო და დადგა სტოლზე. სარდაფი ოდნავ განათდა. თამარო გამობრუნდა, წამლის შუშა და რეცეპტი ხელში აიღო, გამოართო დედას ფული ისე, რომ არც-კი შეუხედავს მისთვის, და გახარებული ფეხ-წვიეებ ტიტველა, მოკლე ძველ ჩითის იუბკაში გახვეული, თავშიშველა გაიქცა აფთიაქში წამლის მოსატანათ. ქეთო ცოტა ხნის შემდეგ მიუახლოვდა თავის ქმარს, მიეალერსა, ორ-სამხელ შუბლზე გადაუსვა ხელი, რაღაც უთხრა, მაგრამ ავათ-მყოფმა პასუხის მიცემა ვერ მოახერხა, მან რამდენხელ დაატანა თავს ძალა, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ გამოუვიდა რაღაც ღმუილი—„ნუ... ნუ...“

ქეთო ამშვიდებდა საწყალს და ჰკოცნიდა შუბლზე... ამ დროს თამროც მოვიდა, მოიტანა წამალი და მცქვიტათ დედას გადასცა; მან სწრაფათ მოუტანა დედას ხის კოვზიც. დედამ დაასხა კოვზზე წამალი, აუწია ავათ-მყოფს თავი და მიაღებინა ის. თამრო მოწყენილი შეჰყურებდა მამას. ავათ-მყოფმა რაღაც უიმედოთ მიაქნ-მოაქნია თავი ძველ ბალიშზე, და სახე დაეღრიჯა. თამრო მივარდა მამას და რამდენჯერმე აკოცა მას დანაოჭებულ შუბლში.

— ნუ გეშინია, მამილო, ნუ, ღვთით მალე მორჩები, მალე.

საწყალი ქეთო წამლის შუშითა და კოვზით ხელში უიმედოთ დასცქეროდა ავათმყოფს, თვალები ცრემლით ენამებოდა, და ათასი მწვავე ფიქრები უტრიალებდა თავში.

— ქეთუავ, ქეთუავ! გაისმა ვიღაცის ხმა დერეფანში.

— მობძანდით, ბატონო, მაშინალურათ მიაძახა ქეთომ და გულში საშინელი ტკივილი იგრძნო.

— არა, სახლში რაღა გავაკეთო. ერთი მნახეთ აქ, უპასუხა უცნობმა.

ქეთო კარებთან მივიდა.

— საღამო მშვიდობისა, ქეთუავ, უთხრა უცნობმა.

— თქვენ, ბატონო! განცვიფრებული შეეკითხა ქეთო. მას სახე დაეღრიჯა, ენა წაერთო და ცახცახი დაიწყებინა მაგრამ ღამის წყვდიადი ფარავდა მის ტანჯვას.

ოჰ, ღამის წყვდიადო, რამდენ მწუხარებას ფარავ შენ!..

— დიახ, მე, უპასუხა უცნობმა და დაიწყო.

— ქეთუავ, მე ვიცი შენი მდგომარეობა, არ შეგაწუხებდი, მაგრამ ხომ იცი ეხლა, სხვა დროა; აგერ სწავლა იწყება, ერთი შვილი რუსეთს უნდა გავამგზავრო, სამი აქ გიმნაზიებში მყავს, ყველა ამას ხარჯი უნდა, ქაჯან, აქ კიდევ ბანკი, იქ კიდევ ათასი სხვა ხარჯები... აქ რაღაც რევოლიუციაა... დალახვროს უფალმა... ლამისაა დაგვლუპოს ვაჭარი ხალხი.. ვაჭრობა დაეცა და დაეცა!.. ესეც არ იყოს, აამაღლა ხმა უცნობმა—ოთხი თვე გადის ერთი კაპეიკი არ მოგიცია სახლის ქირა... რა ვქნათ, გენაცვა?.. ჩვენც ღარიბი ხალხი ვართ და!.. ეხლა მიგიღია ფულები და მოგვეცი!.. თორემ იძულებული ვიქნები სახლიდან დაგითხოვო!..

ქეთო იდგა ამ დროს, თითქოს ის ისმენდა სახლის პატრონის მჭერმეტყველობას, მაგრამ ნამდვილათ-კი მას ესმოდა მარტო სიტყვების რახუნი. ის სახლის პატრონის დანახვამ შორს გადაისროლა ფიქრების მორევში და საშინელი ჯოჯოხეთური ტანჯვა აღუძრა მას გულში.

— რას შვრები ვა!? ხმა ამაღლებით შეეკითხა სახლის პატრონი ცოტა ხნის შემდეგ ქეთო გამოირკვა, ის სწრაფათ გამობრუნდა, აიღო სტოლიდან ფული, გადათვალა რაც ერგებოდა, მიუტანა დამისცა. სახლის პატრონმა იგრძნო რა ლითონის მომხიბლველი სიმძიმე ხელში, გაიღიმა, სწრაფათ შეიპრა ოთახში, მიუახლოვდა ლამპას, გადათვალა ფული, კიდევ გაიღიმა ულვაშებში, მაგრათ ჩაბღუჯა ის ხელში, შემდეგ სწრაფათ გავარდა გარეთ, არც კი გაიხედ-გამოიხედა ოთახში, არც კი დაფიქრდა მაზე, მას ჰქონდა ამ ფულის წაღების უფლება თუ არა ..

— მშვიდობით, უთხრა ქეთოს, რომელიც ისევ იქვე კარებში იდგა, და ავიდა ზევით. ქეთო ფიქრობდა: „ბოგდანა (სახლის პატრონის სახელია) რუსეთს ამგზავრებს შვილს, გიმნაზიაში ზდის.. ჩემი კი ულუკმა პუროთ შიმშილით უნდა მოკვდეს!..“

ამ დროს სარდაფში ჩავიდა ქეთოს ორი პატარა ქალ-ვაჟი დაგლეჯილ ტანისამოსში, ნესტისა და ცუდი კვებვისაგან დაბერილნი და უფერულები. ისინი მოეხვევნენ კარებში მდგომ დედას და დაუწყეს კორწიალი დედის კაბის კალთას.

— დედა, ლოის მიიღებ ჯამაგირს? ეკითხებოდა ერთი.

— დედა, მიყიდი მე პერანგს? აღმაცქერით ეუბნებოდა მეორე.

ქეთოს გული აუყუჩდა, მას მოწყდა ორი ობოლი ცრემლი თვალებიდან და პატარა ბავშს დაეცა მოპარსულ თავზე. ბავშმა თავზე ხელი მოისო და სისველე იგრძნო. ის უფრო მიაშტერდა დედას ზევით თვალებში; როდესაც შენიშნა, რომ დედა სტიროდა მან გულუბრყვილოთ კითხა დედას.

— ლა გატირებს დედა!..

— არაფერი! შვილო, არაფერი! ნაძალადევი ალერსით უთხრა დედამ. შემდეგ სახელოთი თვალებზე ცრემლი მოიწმინდა და ხელ-მოკიდებით ბავში სახლში

შეიყვანა, თამარო რაღაც კერძს აბობდა ქურაზე ავათ-
მყოფისათვის. ქეთომ ამოიღო კიდობანიდან პურის
ნაჭერი, გასტეხა ორათ, ერთი ნატეხი მისცა ერთს, მეორე
მეორეს და უთხრა.

— ჭამეთ, შვილებო, და დაიძინეთ! თქვენ გენა-
ცვალოს თქვენი დედა...

— ქეთუავ! ქეთუავ! კიდევ გაისმა ახალი ხმა.

— მობძანდით! უპასუხა შეშინებულმა ქეთომ, და
გულმა ფანცქალი დაუწყო... სახლში შევიდა ახალგაზდა
კაცი, სქელ-სქელი, დაბალი ტანის, ლურჯ-ღილებ გახ-
სნილ ახალოხში, თავზე კახური პატარა ქუდით, ჩიბუ-
ხით პირში, წინ ტილოს ფეშტემალ აკრული.

— გამარჯობა ჭი! თქვა ახალ მოსულმა—ქვე უკა-
ცრავათ ჭი! მარა რა ვქნათ. ქვეფული ძალიან გვპი-
რია ჭი... მეფქვილეები ნისიათ ფქვილს აღარ გვაძლე-
ვენ... და ქვე ვიღუპებით ჭი!

გაფითრებულმა ქეთომ უგულოთ, მაგრამ სწრაფათ
გადათვალა ფული და მისცა. მეპურემ რამდენიმე ჯერ
გადაატრიალ-გადმოატრიალა ფული ხელში, გადათვალ-
გადმოთვალა, ამოიღო ჯიბიდან გძელი ჭუჭყიანი ტილოს
ქისა, ჩააწყო შიგ, მოუკრა თავი, ჩაიდო უბეში, გაისწო-
რა პერანგი და მიუბრუნდა ქეთოს ჩიბუხით პირში.

— ქვე ძალიანი მადლობელი ვართ ჭი!.. მშვიდო-
ბით ჭი! დაუმატა მან და გავიდა გარეთ.

— ქა, რა ღმერთი გაგიწყრა, რა? ჯერ მეპურე
არც-კი ამოსულიყო სარდაფიდან, რომ ქეთოსთან შეი-
ჭრა ერთი დედაბერი, შავ შალ წამოსხმული და ლე-
ჩაქ დახურული—რად დაგითხოვეს იმ ღვთის პირიდან
წასულებმა, რად! თითქოს ცრემლებით ამბობდა—როგორ
უნდა შეინახო, შე საწყალო, ეგ ყმაწვილები, ავათმყო-
ფი ქმარი!.. უი, მეხი დაასქდა იმ შენს ხაზეინს თავზე,
მეხი!.. პარჭყავდა ხელებს და ლაქლაქობდა დედაბერი.
—ეს კარგია მაინც, რომ ოთხი თვის მოუციათ.. შენ
ეხლა ფული გაქ? მომე, ქა, ჩემი სამი მანეთი, რომ გაქ!..
ზეგ ხატობაში უნდა წავიდე და ერთი კაპიკი არ მაქვს,
რომ ხატს სანთელი აუნთო, ცხონებული ჩემი ქმარის-
თვის ვაწირინო!.. არ მახსოვს, რომ ასე ხელცარიელი
ვყოფილიყო როდისმე...

ქეთომ ხმა ამოუღებლივ აიღო სამი მანეთი და მისცა
დედაბერს, რომ მალე მოეშორებინა ის თავიდან. დედა-
ბერმა სიხარულით გამოკრა ფული თავსაფარის ყურში,
ერთხან ილაქლაქა კიდევ და შემდეგ წავიდა.

ქეთომ ბავშები დააძინა. ერთხანს თამროს ელაპა-
რაკა რაღაც, შემდეგ ქმარს მიხედა, ბალიში გაუსწორა,
საბნის ყური აეკალაფა, რომელიც იატაკზე დაშვებუ-
ლიყო, შემდეგ დაიწყო სიარული იქით-აქეთ ოთახში.
თამაროს ძილი მოეკიდა და დაიძინა. ქეთომ სიარული
შესწყვიტა; ის მოქანცული სტოლთან დაეშვა, იდაყვები
სტოლს დააბჯინა და ხელები თავზე შემოიდგა. ავათ-
მყოფს უკვე ეძინა. ოთახში სრული მყუდროება გამეფ-
და. დიდ ხანს იყო ქეთო დაფიქრებული, შემდეგ ის,
შინაგანი მწუხარებისგან აფორიაქებული, უაზროთ ზე
წამოიჭრა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა, ისევ დაჯდ
მაგრამ ერთი ფიქრი, როგორც კაცის მკვლელს მ
მსხვერპლის აჩრდილი, არ შორდებოდა და ფოლადი
ჩაქუჩივით სცემდა თავში: „რას შვრები ხვალ, ზეგ, მ
ზეგ?“ რით გინდა შეინახო შენი ოჯახი“?!...

ქეთო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა კარგა ხ
ებრძოდა ამ აზრს, კარგა ხან უწევდა მას წინააღმდეგ
ბას, კარგა ხანს ამხნევ-აფოლადებდა თავის თ
მაგრამ ამაოთ... სინამდვილეს თავისი გაჰქონდა. ბოლო
მას სული შეეხუთა, რაღაც ბურთივით მოაწვა ყელ
და გააკავა, ძარღვები დაეჭიმა, ძალა მოუდუნდა, ტან
მა კანკალი დაუწყო, სახე აუთამაშდა, მხრები აუძგ
ძიგდა, გულში ჩხვლეტდა რაღაც საშინლათ, კუჭის თ
ვი გაუცხელდა თითქოს ცეცხლი გააჩაღეს ზედაო, თვ
ლები აებლანდა, და ცრემლის ტბა მოაწვა შიგ, რომ
ლიც გახდა სათავეთ მის მწუხარებისაგან დაღრეჯილ
სახეზე აგორებულ ცრემლთა ღვარისა. ქეთო ცრემლ
გადაიქცა, მთელი მისი სხეული მოსთქვამდა და იცრე
ლებოდა. მას დაეკარგა სულის სიძლიერე... ის გიუივ
ზე წამოიჭრა, ქმრის საწოლს მივარდა, მერე ყმაწვ
ლებს დააყურადა... ყველას ეძინა, ყველა წყნარათ იყო
დრო გამოშვებით ძილში რომელიმე ყმაწვილი შეიყვ
რებდა, მოიფხანდა თავს, ან ტანს და გადაბრუნდებოდ
მეორე გვერდზე, ან საწყალი ავადმყოფი ყრუთ ჩაახვ
ლებდა, ერთ-ორს და ისევ დაჩუმდებოდა, მხოლო
მწუხარებისაგან აბობოქრებული, ქეთოს გული განაგრ
ძობდა ღელვასა და შფოთვას, როგორც გაბრაზებული
ზღვის ტალღა. მან წამოკრა თავის განუყრელ შალ
ხელი, წამოიგდო ის ზურგზე და გავარდა ქუჩაში.

უკვე გვიან იყო, მთვარე როგორც ბალტიის
ზღვის მრავალ რიცხოვან კუნძულებ შორის გემი, ამ
ყათ მისცურავდა ურიცხვ შავ ღრუბლების გორაკებში,
აპობდა მათ, ფანტავდა სიბნელეს... ამ დროს ის, ვი
ქალწული თავის აშიკს, უმანკოთ უღიმოდა დედა-მიწას
და აფრქვევდა მკრთალ სხივებს. ვარსკვლავთა გუნდ
მარგალიტებით მოჭედილ სავანეთ ჰქმნიდა ცას და მის
სიდიადეს წარმოუდგენელ სიმშვენიერეს რთავდა. უს
წორ-მასწორი ქედები ზღაპრულ მდევებივით შემორტ
მოდა თბილისს გარშემო, თითქოს სურთ დაიცონ ის
გარეშე მტრისაგანო. მათ მიეშვირათ ზურგი მთვარისათ
ვის და ბანაობდენ მის უხვ სხივებში. მთაწმინდა ჩვეუ
ლებრივის მოწყენით გადმოჰყურებდა თბილისს. მტკვა
რი გულჩათხრობილი მიბუტბუტებდა თავისთვის რაღ
ცას. საამო ნიავი დაჰქროლავდა არე-მარეს და ეალერ
სებოდა. მუშა თბილისს უკვე ეძინა, მხოლოთ ლალი,
ბანოვანი თბილისი განაგრძობდა განცხრომას. შორს ქა
ლაქის ბაღებში გრიალებდა მუსიკა, რომლის მელოდი
ებს იტაცებდა ნიავი და შორს, მინდვრებში უერთებდ
ბუნების მუსიკის მომხიბლველ ჰანგებს. იქვე გაისმოდ
დანა-ჩანგლების ჩხრიალი, ძვირფასი სასმელ
ბოთლების პოპკათა ტკაცა ტკუცი, ქალთა ხოროს
უშინაარსო სიმღერის ხმა და მაძღართა ვაშა-ვაშას ძა-

ხელი... იქვე დაყანტალობდენ ბაღის ბილიკებზე უშნოულაზათოთ მორთულ მოკაზმული ქალები, რომელთაც ულმობელი ცხოვრების აბობოქრებული ლანქერი მიაქანებს უფსკრულისაკენ... აქ მეტეხში, რომელიც ოდესღაც თავისუფლებისათვის მებრძოლთ სიმაგრე იყო, მაგრამ დღეს ისტორიის უკუღმართმა ტრიალმა წინააღმდეგ როლი დააკისრა, სენაკებში ჩაკეტილნი თავისუფლებისათვის მებრძოლნი, უკან ხელ დაწყობილნი, კუთხიდან-კუთხეში დადიოდენ გულშეხუთულნი; მათ თვალებს რული არ ეკარებოდა...

ქეთო უაზროთ გაუდგა ქუჩას; მან გაიარა ერთი, მეორე, გადაუხვ-გადმოუხვია, არავის ყურადღებას არ აქცევდა, ჩაუარა გვერდით ორ შეყვარებულს, რომელნიც აღფრთოვანებულნი ეკვროდნენ ერთმანეთს მკერდში და აწებებდნენ ათრთოლებულ ტუჩებს... ისინი ამ წამებში მარტო ერთი გრძნობით იყვნენ გატაცებულნი: სიყვარული, განუწყვეტელი სიყვარული, სიყვარული!..

არც ამ ბედნიერთ შეუნიშნავთ ის უბედური, რომელმაც ეხლა მათ გვერდით ჩაუარა და ცხოვრების მწუხარებისაგან ნერვებ აშლილი სადღაც უგზო-უკლოთ მიეხეტებოდა; ვინ იცის, ის საწყალიც ერთ დროს ამათებრ ელულუნებოდა და ეხვეოდა დღეს დამბლისაგან დამხვრეულ თავის ქმარს...

დეე, დასტკბენ, იცხოვრონ!..

ქეთო ინსტიქტიურათ მიუახლოვდა ერთი შენობის ალაყაფის კარებს და მიაწვა მას, მაგრამ კარები არ დამორჩილდა.

— არ მიშვებ!? ვნახოთ!.. შეუტია ქეთომ და მუშტი მოუღირა კარებს. ის ენერგიულათ წარსდგა წინ, მაგრამ ხელი მოუდუნდა და ძირს დაეშვა. ახალმა ცრემლებმა აღმოხეთქეს მისი თვალებიდან და აგორდენ მის გაძვალტყავებულ ღაწვებზე. ქეთო გაბრუნდა, გადავიდა ქუჩის მეორე მხარეს, ბაღის ღობის ბოძს ერთი ხელი ჩამოადო და შემობრუნებული ალმაცერათ გადახედა შენობას. ეს ის შენობა იყო, სადაც ქეთო ათი წლის განმავლობაში მუშაობდა და დღეს კი ქუჩაში გაუძახეს. ის მთვარის სხივზე რაღაც კიდევ უფრო მედიდურათ გამოიყურებოდა, თითქოს გრძნობს თავის სიდიადეს და ამაყობს კიდეცო. ქეთო კარგაო დააცქერდა მას და მერე ამღვრეული შესძახა.

— წყეულო ფაბრიკავ! შენ ერთი ქოხმახი იყავ, როდესაც მე შენში დავიწყე მუშაობა... ეხლა გაიზარდე, უზარ-მაზარი გახდი... გამომწოვე, როგორც მაწოვარა, რაც ძალი და ღონე მქონდა... დავსუსტდი, დავიქანცე... როდესაც ჩემი შრომა საჭიროა ხუთი ადამიანის საარსებოთ, ქუჩაში გამიძახე... სადაა ჩემი ამაგი... სადა!?.. შენ, შენ ცივი ხარ!.. არ გესმის ჩემი ყმაწვილების ტირილი და ჩემი ავათმყოფი ქმრის კვნესა!.. მე მე გაგათბობ შენ... დეე, ატირდეს შენი ყმაწვილებიც!.. მე შენ მოგიღებ ბოლოს.. მთლათ ავაბრიალებ აქაურობას!.. მაგრამ ამ დროს საშინელი ტკივილი იგრძნო გულის სიღრმეში, რაღაც მწვავე ხმამ ჩასწივლა მას ყურში: „სამასი ოჯახი .. სამასი მუშის ოჯახი“!.. ის შეკრთა, შეეშინდა და კანკალი დაიწყო, კიდევ ახალი ცრემლები, კიდევ ახალი ტანჯვა. ის საშინელ სასოწარკვეთილებას მიეცა. რაღაც საწამლავი ხმა არ ასვენებდა მას და ჩაქუჩივით სცემდა ტვინში; „ხვალ; ზეგ, მაზეგ, რას შვრები?! უნდა იმათხოვრო, უნდა“!..

ქეთო თანდათან უფრო და უფრო კარგავდა ძალას და მიტოპავდა მწვავე გრძნობათა ტალღებში. ვერ ახერხებდა თავის თავის შეკავებას, გამხნევებას, დაიგლიჯა მისი სიძლიერის ბაწრები... გულმა მოუმატა ცემა და მთელ სხეულს მოედო სისუსტე... გრძელი ზოლებივით გაება მის თავში ცხოვრების ვწვავე და ტკბილი მოგონებები, ისინი წყდებოდენ, ისევ ებმებოდენ, კიდევ წყდებოდენ და ასე გაუთავებლათ... არც ერთ იმათგანზე არ შეეძლო შეჩერება. ქეთოს გონების რაც მასში აღვიძებდა კიდევ ახალ-ახალ ტკივილებს და გულის ღრღნას...

ქალაქის საათის ზარმა შვიდამის დაჰკრა. ზევით, განდეგილზე გაჰქრა ელექტრონის ფანარი, ქუჩებში გაისმა ქუჩის მცველის სტვენა, შორს სადღაც დაიყივლა მამალმა, მაღლა ვაჟკაცივით დაიყიჟინა მატარებლის ლოკომოტივმა და სრიალ-სრიალით გაექანა სწორ ლიანდაგზე, მეტეხში მძიმეთ ჩაახველა უჰაერობისა და სიცხისაგან შეწუხებულმა პატიმარმა, ფანჯარას მიაშურა და შუბლის გასაგრილებლათ მტკვარს გადახედა, ქეთოს სახლში ჰატარა მისმა ვაჟმა ძილში წამოიძახა. „დედა, მიყიდი პერანგს“? მაღლა ციდან მოსწყდა ერთი ვარსკვლავი და გასწია განუზომელ სივრცეში. ქეთოს გულმა ვეღარ გაუძლო აბობოქრებულ მწუხარების ტალღებს, რომელთაც მასზე მიეტანეს იერიში, მან მოინდომა მათი გაფანტვა. ქეთოს გული მძლავრათ შეუხტა; ის გასქდა. საწყალი ქეთო შეკრთა და ქვასავით ძირს დაეშო; ამ დროს მან ჩამოკრა ღობის მავთულის ქაცვებს შუბლი და მარცხენა წარბის ზევით სამმა წვეთმა სისხლმა გამოჟვანა; ქეთო უსულოთ დაეცა მიწაზე...

პ—ე ხიდისთაველი.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

20 მაისს მოხდა ობილისის თამბაქოს ქარხნების პროფესიონალური საზოგადოების კამკეობის კრება. კამკეობამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) ბოზარჯიანცის და ეფინჯიანცის ფაბრიკებში დაავადმყოფებული მუშების მდგომარეობა; 2) ფაბრიკებში მომხდარი უწესობა, 3) მეფაბრიკის ბოზარჯიანცის განცხადება და სხვა წვრილმანი საკითხები. სსენებულ ფაბრიკებში ძალიან ბევრია დაავადმყოფებული მუშები: ზოგი ჭლექით და ზოგიც სხვა აუტანელი პირობებისაგან გამოწვეული ავადმყოფობით. ამათი მდგომარეობა ერთობ სასტიკია, მაგრამ დღემდე მისთვის კაცს არ მიუქცევია ყურადღება. ზოგი ამათგანი ისე დაუძლურებულია, რომ

მკითხები სქმის გითარებას, ბჯუხსაც ვერ იძლევა, ასეთი-მუშები იძულებული არიან დასტოვონ ფაბრიკა და რა ჯილდოს აძლევენ მაა? რაღაც სამი თვისას! გამგეობას აქვს მოდაბარაკება გამართული ენფინჯიანტთან და ბოზარჯიანტთან. ენფინჯიანტმა უფრო გულუხვობა გამოიჩინა და ავთომუფის დასაჯილდ "ებლათ ცხრა თვის ჯამაგირს შეგვხვრდა; რასაკვირველია ავთომუფი, რომელსაც ჩვიდ-მეტი წელიწადი უმუშაკნია ხელებულ ფაბრიკაში ვერ დასთანხმდება ასეთ მცირე ფასს; ჯერ მოდაბარაკება არ დასრულებულა და ვნახოთ როგორ დასთანხმდება ჩვენს წინადადებას.

ავთომუფი მას სთხოვს ხუთას მარეთს. რაც შეეხება ბოზარჯიანტს, ჯერ ბასუსი არ არის მისგან. თუ მოლაბარაკება სასურველათ გაოვდა, ამას ბრინციპიალური მნიშვნელობაც ექნება ასეთი შემთხვევებისთვის.

მეორე საკითხი შეეხება ბოზარჯიანტის ორ მუშას, რომელნიც ფაბრიკის დაკეტვის დროს ფარულათ დარჩენ ფაბრიკაში, ორი დღე და ღამე იმუშავეს ზედ-მეტი სქმე და ამით გამოიწვიეს უკმაყოფილება დანარჩენ მუშებში, რისთვისაც ერთი მათგანი ქეროფა ხმის უმრავლესობით დათხოვნილ იქნა სამუშაოდან და მისს ამხანაგს კოდიას ორი კვირით აეკრძალა ფაბრიკაში მუშაობა. აგრეთვე წინადადებაც შეიცა, თუ იგი გაიმეორებს ასეთ სქციელს, მასაც დაითხოვს მუშები სქმიდან.

რაც შეეხება ფაბრიკებში მომხდარ უწესობას, რაზედაც არა ერთხელ და ორხელ გითქვამს ამხანაგი მუშებისათვის, რომ ნუ ჩადიან ასეთ ამბებს, როგორც არის კვირაში სამი დღის მუშაობა, ბურის ფულის აღება და დოთობა, სამწუხაროთ ბოდო მაინც არ ედება. ეი ამან გამოიწვია ისა, რომ ბოზარჯიანტმა გამოგვიცხადა: „თუ მუშაობის წეს-რიგს არ შემოიღებთ მუშები, მე იძულებული ვიქნები ბურის ფული აღარ დავარიგო და ის მუშები, რომელნიც ითრობიან და სქმე არ გამოუვთ დვითხოვო და მათ ადგილს მივიღო ისეთი მუშები, რომელნიც განსაზღვრულ ცხრა საათს იმუშავებს და სქმეს ჩამბარებს თავის დროზედო“.

მიიღო რა გამგეობამ ეს წინადადება მხედველობაში, მან სამოდოოთ გადაწყვიტა, რომ შეიმუშაოს ერთი სავალდებულო წესდება ხაზეინების წარმომადგენლების თანა დასწ ებით და გამოიგიდოს ფაბრიკებში. ვინც დაარღვევს ამ წესდებას, მას შესაფერათ დაუფ ებს გამგეობაც და მუშებიც.

დასასრულ თუთუნის ჩამწყობ შეგირდებს აძლევს წინადადებას გამგეობა, თუ იგინი არ იმუშავებენ რიგიანათ და როცა უნდათ მაშინ მოვდენ სქმეზე და როცა უნდათ მაშინ წავდენ ისოე, როგორც გასართობში წავა ადამიანი, მაშინ გამგეობა და მუშებიც დაითხოვენ მათ და მათ სქმეზე მიაყენებენ ხაზეინს ისეთ მუშებს, რომელნიც დაუფასებენ სქმიანობას.

გამგეობის მონდობილობით **ოლიმპიადა.**

წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუ-ლებით შევეკითხო „სორაპნის“ ამხანაგობას შემდეგი: 1) რა მ-ზეზია, რომ ორი თვე გადის და ჩემი ხვედრი ფული ჟურნალ-გ-ზეთების 16 მ. 4 კაპ. არ გადაეცით სიმონოვს და ამით ხელს მ-ლით ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაში?

2) სორაპნის სახელზე გამოვგზავნე „ეკალის“ რედაქცი-გადასაცემათ 4 მ. 90 კაპ. რისთვის არ გადაეცითო?*)

3) 9 მანეთი რომელიც თქვენ მომთხოვეთ და გამოგიგზავნ-„ეკალის“ რედაქციისთვის? და ეხლა ეკალის რედაქცია მე ფულ-მთხოვს, რისთვის მომთხოვეთ თუ გადაცემა არ შეგეძლოთ?

გთხოვთ ზემოხსენებულ კითხვებზე მიპასუხოთ რაც შეიძლ-ბა დაჩქარებით.

ჩოხატაური.

ნ. მეგრელიშვილი.

*) ფოსტის კვიტანცია ხელთა მაქვს.

რედაქციისაგან.

წინა ნომერში მოთავსებულ ლექსს „მოგონება“, რ-საც ავტორი უძღვნიდა ი. ევდოშვილს, გაკეთებული ჰქონ-და ჩვენი შენიშვნა, სადაც ვაცხადებდით, რომ „ამ ლექსს არ ვეთანხმებით სავსებით“. ვწუხვარ რომ ეს შენიშვნა თა-ვის დროზე ვერ დაიბეჭდა.

ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი კვალი

გაზეთის ფასი:

თბილისსა და თბილის გარეთ	7 მ.	— კ.
ნახევარ წლით — —	3 მ.	— კ.
სამითვით — —	1 მ.	60 კ.
საზღვარ გარეთ ერთიწლით	7 მ.	— კ.
ნახევარ წლით — —	4 მ.	— კ.
სამი თვით — —	2 მ.	— კ.

ცალკე ნომერი ყოველგან ორი შაური

ხელისმოწერა შეიძლება: თბილისში, წიგნის მაღაზია „სორაპანი“ მადათოვის კუნძული ფოსტით ფული და წ-რილები უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлисъ книжный магазинъ „Сорапань“ (Мадат. остров) Рахиль Каландадзе

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ყიდულს არ ინახავს, ინახება ერთი თვით მხოლოდ მოთხრობები და დიდი წერილები.

მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 11-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“, მადათოვის კუნძული, სახლიმუხრ ნსკისა № 1.